

საქართველოს ეროვნული ბანკი

საქართველოს საგადასახდელო
ბალანსი
2011

თბილისი 2012

სარჩევი

1.	მეთოდოლოგიური მიმოხილვა	5
1.1	საგადასახდელო ბალანსის მეთოდოლოგიური სტანდარტები	5
1.2	საინვესტიციო პოზიციის მეთოდოლოგიური სტანდარტები	12
1.3	საგარეო ვალის მეთოდოლოგიური სტანდარტები	13
2.	საქართველოს საგადასახდელო ბალანსი 2011 წლისათვის	15
2.1	ზოგადი მიმოხილვა	15
2.2	მიმდინარე ანგარიში	18
2.2.1	საქონელი	18
2.2.2	მომსახურება	26
2.2.3	შემოსავლები	31
2.2.4	მიმდინარე ტრანსფერტები	33
2.3	კაპიტალისა და ფინანსური ანგარიში	35
2.3.1	კაპიტალური ტრანსფერტები	35
2.3.2	პირდაპირი ინვესტიციები	37
2.3.3	პორტფელის ინვესტიციები	39
2.3.4	ფინანსური წარმოებულები	39
2.3.5	სხვა ინვესტიციები	40
2.3.6	საერთაშორისო რეზერვები	42
3.	საერთაშორისო საინვესტიციო მდგომარეობა	44
4.	საბარემო ვალი	46
5.	მონაცემთა წყაროს აღწერა	50
6.	დანართები	53
	დანართი 1. საქართველოს საგადასახდელო ბალანსი, 2007 - 2011 წლები (სტანდარტული წარმოდგენა)	56
	დანართი 2. საქართველოს საგადასახდელო ბალანსი, 2007 - 2011 წლები (ანალიტიკური წარმოდგენა)	73
	დანართი 3. საქართველოს საგადასახდელო ბალანსი, 2011 წელი, კვარტალური (სტანდარტული წარმოდგენა)	75
	დანართი 4. საქართველოს საქართველოს საგადასახდელო ბალანსი, 2011 წელი, კვარტალური (ანალიტიკური წარმოდგენა)	93
	დანართი 5. საქართველოს საგადასახდელო ბალანსი, 2011 წელი, კვარტალური (სტანდარტული, შემოკლებული)	95
	დანართი 6. საქართველოს საერთაშორისო საინვესტიციო პოზიცია, 2007-2011 წლები	96
	დანართი 7. საქართველოს საერთაშორისო საინვესტიციო პოზიცია, 2011 წლის I კვარტალი	101
	დანართი 8. საქართველოს საერთაშორისო საინვესტიციო პოზიცია, 2011 წლის II კვარტალი	106
	დანართი 9. საქართველოს საერთაშორისო საინვესტიციო პოზიცია, 2011 წლის III კვარტალი ...	111
	დანართი 10. საქართველოს საერთაშორისო საინვესტიციო პოზიცია, 2011 წლის IV კვარტალი .	116
	დანართი 11. საქართველოს მთლიანი საგარეო ვალი, 2007-2011 წლები	121
	დანართი 12. საქონლის ექსპორტი ქვეყნების მიხედვით, 2007-2011 წლები	124
	დანართი 13. საქონლის იმპორტი ქვეყნების მიხედვით, 2007-2011 წლები	128
	დანართი 14. საქონლის ექსპორტი სასაქონლო ჯგუფების მიხედვით, 2007-2011 წლები	133

დანართი 15. საქონლის იმპორტი სასაქონლო ჯგუფების მიხედვით, 2007-2011 წლები.....	137
დანართი 16. ძირითადი საქონლის ექსპორტი თურქეთში, 2007-2011 წწ.....	141
დანართი 17. ძირითადი საქონლის იმპორტი თურქეთიდან, 2007-2011 წწ.....	142
დანართი 18. ძირითადი საქონლის ექსპორტი აზერბაიჯანში, 2007-2011 წწ.....	143
დანართი 19. ძირითადი საქონლის იმპორტი აზერბაიჯანიდან, 2007-2011 წწ.	144
დანართი 20. ძირითადი საქონლის ექსპორტი უკრაინაში, 2007-2011 წწ	145
დანართი 21. ძირითადი საქონლის იმპორტი უკრაინიდან, 2007-2011 წწ.	146

1. მეთოდოლოგიური მიმოხილვა

საქართველოს საგადასახდელო ბალანსის კომპილაცია საქართველოს ეროვნულ ბანკში 2007 წლიდან წარმოებს.

საქართველოს საგადასახდელო ბალანსი, საერთაშორისო საინვესტიციო პოზიცია და საგარეო ვალი ინარმოება კვარტალური და წლიური პერიოდულობით და გამოისახება ათას აშშ დოლარში. აღნიშნული დოკუმენტები არ მოიცავს ინფორმაციას აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონში განხორციელებული საგარეო ეკონომიკური ოპერაციების შესახებ.

საქართველოს საგადასახდელო ბალანსის, საერთაშორისო საინვესტიციო პოზიციისა და საგარეო ვალის გადახედვა რეგულარულად წარმოებს და შეიძლება შეეხოს ნებისმიერ პერიოდს. წინამდებარე კრებულში გათვალისწინებულია 2012 წლის 30 სექტემბრისათვის არსებული ყველა შესწორება.

1.1 საგადასახდელო ბალანსის მეთოდოლოგიური სტანდარტები

საგადასახდელო ბალანსი არის მაკროეკონომიკური სტატისტიკური ანგარიში, რომელიც ასახავს დროის განსაზღვრულ პერიოდში მოცემულ ეკონომიკასა და დანარჩენ მსოფლიოს შორის განხორციელებულ ეკონომიკურ ტრანზაქციებს. ინფორმაციის კლასიფიკაცია და კომპილაცია ხდება საერთაშორისო სტანდარტების, საერთაშორისო სავალუტო ფონდის საგადასახდელო ბალანსის სახელმძღვანელოს (მეხუთე გამოცემა) შესაბამისად.

განმარტებები და ძირითადი პრინციპები

სტრუქტურულად საგადასახდელო ბალანსი შედგება ორი ნაწილისაგან. ესენია: მიმდინარე ანგარიში და კაპიტალისა და ფინანსური ანგარიში. მიმდინარე ანგარიში მოიცავს საქონელს, მომსახურებას, შემოსავალსა და მიმდინარე ტრანსფერტებს. კაპიტალისა და ფინანსური ანგარიში კი, კაპიტალურ ტრანსფერტებს, პირდაპირ ინვესტიციებს, პორტფელის ინვესტიციებს, ფინანსურ წარმოებულებს, სხვა ინვესტიციებსა და სარეზერ-

ვო აქტივებს.

საგადასახდელო ბალანსი ასახავს რეზიდენტებსა და არარეზიდენტებს შორის განხორციელებულ ოპერაციებს.

ეკონომიკური ერთეული ითვლება **რეზიდენტად**, თუ მისი **ეკონომიკური ინტერესის ცენტრი** და მუდმივი ადგილმდებარეობა არის ქვეყნის **ეკონომიკურ ტერიტორიაზე** ერთ წელზე მეტი ხნის განმავლობაში. ამ შემთხვევაში მოქალაქეობა მხედველობაში არ მიიღება.

ქვეყნის **ეკონომიკური ტერიტორია** შედგება მისი მთავრობის მიერ ადმინისტრირებული გეოგრაფიული ტერიტორიისგან, სადაც ადამიანები, საქონელი და კაპიტალი თავისუფლად მოძრაობენ და ემორჩილებიან ერთიან ფისკალურ და მონეტარულ ხელისუფლებას. ეკონომიკური ტერიტორია ასევე მოიცავს: საჰაერო სივრცეს, ტერიტორიულ წყლებს, ტერიტორიებს საერთაშორისო წყლებში, სადაც ქვეყანა სარგებლობს ექსკლუზიური უფლებებით, ტერიტორიულ ანკლავებს სხვა ქვეყნის ტერიტორიაზე, როგორცაა საელჩოები, საკონსულოები, სამხედრო ბაზები, თავისუფალი ზონები და ა.შ. თავის მხრივ, მოცემული ქვეყნის ეკონომიკურ ტერიტორიად არ ჩაითვლება სხვა ქვეყნების ტერიტორიული ანკლავები, რომლებიც აღნიშნული ქვეყნის გეოგრაფიულ ტერიტორიაზე მდებარეობს.

ითვლება, რომ ფიზიკურ ან იურიდიულ პირს აქვს **ეკონომიკური ინტერესის ცენტრი** ამა თუ იმ ქვეყანაში, როდესაც ქვეყნის ეკონომიკურ ტერიტორიაზე არსებობს მისი საცხოვრებელი ადგილი, წარმოების ადგილი ან სხვა უძრავი ქონება, რომელსაც აღნიშნული პირი იკავებს, ან განზრახული აქვს დაიკავოს, განუსაზღვრელი ვადით ან ხანგრძლივი პერიოდით (ერთი ან მეტი წლით).

ძირითადი პრინციპი, რაც ტრანზაქციების შეფასებისას მხედველობაში მიიღება, არის საბაზრო ფასი. საბაზრო ფასი განისაზღვრება როგორც თანხა, რომელსაც მყიდველი თავისი ნებით იხდის რაიმეს შესაძენად გამყიდველის სურვილის შესაბამისად, როდესაც ორივე მხარე არის დამოუ-

კიდებული და აღნიშნული ოპერაცია ხორციელდება მხოლოდ კომერციული შეხედულებებიდან გამომდინარე.

ტრანზაქციის აღრიცხვის დროდ მიიჩნევა რეალური დრო, ან ხდება იმ მიახლოებული დროის შეფასება, როცა მოხდა საკუთრებაზე უფლების ცვლილება. ეს არის დრო, როდესაც მოხდა ფინანსური ოპერაციის რეგისტრაცია ბანკის ან სანარმოს საბუღალტრო ჩანაწერებში.

საგადასახდლო ბალანსი (სბ) არ გულისხმობს „გადასახდლებს“ ამ სიტყვის ზოგადი გაგებით, არამედ იგი მოიცავს ტრანზაქციებს, რადგან ზოგიერთი საერთაშორისო ტრანზაქცია არ გულისხმობს ფულის გადახდას (მაგალითად ბარტერი), ზოგი კი საერთოდ არ მოითხოვს რაიმე სახით გადახდას (მაგალითად მემკვიდრეობა).

ეკონომიკის სექტორები

საგადასახდლო ბალანსის ფინანსური ანგარიშის კომპონენტები - პირდაპირი ინვესტიციები, პორტფელის ინვესტიციები, ფინანსური წარმოებულები და სხვა ინვესტიციები - თავის მხრივ, იყოფა ოპერაციის მონაწილე რეზიდენტების ეკონომიკური სექტორების მიხედვით. ამ კუთხით გამოიყოფა ოთხი სექტორი:

- მონეტარული ხელისუფლება - ამ შემთხვევაში, საქართველოს ეროვნული ბანკი;
- სამთავრობო სექტორი, რომელიც მოიცავს ცენტრალური და ადგილობრივი ხელისუფლების ორგანოებს;
- საბანკო სექტორი - საქართველოს კომერციული ბანკები;
- სხვა სექტორები, რომელშიც შედის ინდუსტრიული და კომერციული სანარმოები, სადაზღვევო კომპანიები, არასაბანკო საფინანსო ინსტიტუტები, შინამეურნეობები და სხვა.

ტრანზაქციის ტიპები

- გაცვლითი ტრანზაქციები - საგადასახდლო ბალანსში ასახული ტრანზაქციების უმეტესობა შეიძლება დახასიათდეს, როგორც გაცვლითი ტრანზაქციები, როდესაც

ტრანზაქციის ერთი მხარე მიაწვდის რაიმე ეკონომიკურ ღირებულებას მეორე მხარეს და მისგან სანაცვლოდ იღებს ეკვივალენტურ ღირებულებას;

- ტრანსფერტები - ეს არის ტრანზაქციები, როდესაც ერთი მხარე მეორეს მიაწვდის რაიმე ეკონომიკურ ღირებულებას და სანაცვლოდ მისგან არ იღებს არანაირ ღირებულებას;
- მიგრაცია - ფიზიკური პირის მიგრაციას ერთი ქვეყნიდან მეორეში თან სდევს აღნიშნული პირის საკუთრებაში არსებული აქტივებისა და ვალდებულებების მიგრაცია.
- ტრანზაქციების უკანასკნელი ორი ფორმა ცალმხრივი ტრანზაქციების ტიპს განეკუთვნება, სწორედ ამიტომ, ორმაგი ჩანერის პრინციპი საგადასახდლო ბალანსში მოითხოვს საპასუხო ჩანაწერის გაკეთებას საპირისპირო ნიშნით.
- პირობითი ტრანზაქციები - ეს არის საგადასახდლო ბალანსში განხორციელებული ჩანაწერები, როდესაც ფაქტიურად ფულადი ნაკადების მოძრაობა არ მომხდარა, მაგალითად უცხოელი ინვესტორების მოგების რეინვესტიცია.
- მოთხოვნებისა და ვალდებულებების რეკლასიფიკაცია და რევალვაცია - საგადასახდლო ბალანსის ფინანსური ანგარიშის ეს მუხლები გამოხატავს კრედიტორის ან დებეტორის მოტივაციას. პერიოდულად, მოტივაციის ცვლილებასთან ერთად, ხდება ფინანსური ანგარიშის მუხლების რეკლასიფიკაცია.

ზემოთ ჩამოთვლილი ტრანზაქციები (გარდა რეკლასიფიკაციისა და რევალვაციისა, რომლებიც მხოლოდ საერთაშორისო საინვესტიციო პოზიციაში გვხვდება) აისახება საგადასახდლო ბალანსის სხვადასხვა მუხლებში. მუხლების სტრუქტურა შემდეგნაირია:

საქონელი მოიცავს ტრანზაქციებს, რომლებიც დაკავშირებულია საქონლის ექსპორტ/იმპორტთან და გამოხატავს რეზიდენტსა და არარეზი-

დენტს შორის საკუთრების ცვლილებას (ზოგადი ვაჭრობა, პორტებში შექმნილი საქონელი და არამონეტარული ოქრო), ან არ მოიცავს საკუთრების ცვლილებას (საქონელი გადამუშავებისათვის, საქონლის რემონტი).

მომსახურება მოიცავს ყველა სახის მომსახურებას, რასაც უწევენ რეზიდენტები არარეზიდენტებს ან პირიქით.

- სატრანსპორტო მომსახურებაში შედის საჰაერო, საზღვაო, სარკინიგზო, საავტომობილო ტრანსპორტით მომსახურება, აგრეთვე მილსადენით ტრანსპორტირება. მგზავრების, ტვირთის (ფრახტის) ტრანსპორტირება და სხვა სახის სატრანსპორტო მომსახურება (ტვირთის მოვლა, შენახვა, სატრანსპორტო საშუალებების დასუფთავება და სხვ.) კლასიფიცირდება თითოეული სატრანსპორტო საშუალების მიხედვით, გარდა მილსადენით ტრანსპორტირებისა.
- ტურისტული მომსახურება - აღნიშნული მუხლი კრედიტის მხარეს აღრიცხავს საქართველოში ყოფნისას არარეზიდენტი მგზავრების სამოგზაურო დანახარჯებს, როგორც ბიზნესის, ასევე პირადი მიზნებისათვის. რეზიდენტი ტურისტების სამოგზაურო დანახარჯები უცხო ქვეყნებში აღრიცხება ტურისტული ხარჯების დებუტის მხარეს.
- საკომუნიკაციო მომსახურება გულისხმობს საერთაშორისო საკომუნიკაციო ტრანზაქციებს - საფოსტო და სატელეკომუნიკაციო მომსახურებას, ინფორმაციის გადაცემას და ა.შ.
- ფინანსური მომსახურება მოიცავს საფინანსო შუამავლობასა და დამხმარე მომსახურებას რეზიდენტებსა და არარეზიდენტებს შორის.
- სხვა მომსახურება ასახავს ისეთი ტიპის მომსახურებას, როგორცაა სამშენებლო, სადაზღვევო, კომპიუტერული და საინფორმაციო მომსახურება, როიალტი და ლიცენზიის გადასახადი, სხვა ბიზნესმომსახურება, პირადი, კულტურული და სარეკრეაციო

მომსახურება, სამთავრობო მომსახურება და სხვ.

შემოსავალი მიცავს რეზიდენტებსა და არარეზიდენტებს შორის განხორციელებულ ორი ტიპის ფულად ნაკადს:

- მუშაკთა შრომის ანაზღაურება ხელფასისა თუ სხვა სარგებელის სახით, ფულადი ან ნატურალური ფორმით, გადახდილი დამქირავებლის მიერ დაქირავებულზე, როცა მხარეები სხვადასხვა ქვეყნის რეზიდენტები არიან. ეს ანაზღაურება ასევე მოიცავს გადასახადებს, რომელთაც იხდის დაქირავებული მასპინძელ ქვეყანაში, რაც აღირიცხება როგორც საპირისპირო ჩანაწერი მიმდინარე ტრანსფერტების მუხლში. დაქირავებულის დანახარჯები მასპინძელ ქვეყანაში აღირიცხება როგორც მოკორექს-პონდენტო ჩანაწერი ტურისტული მომსახურების მუხლში.
- საინვესტიციო შემოსავალი მოიცავს რეზიდენტის საგარეო ფინანსური აქტივების ფლობიდან მისაღებ შემოსავალს ან გადასახდელებს არარეზიდენტის მიმართ არსებულ ვალდებულებებზე. საინვესტიციო შემოსავალი მოიცავს შემოსავალს პირდაპირი ინვესტიციებიდან, პორტფელის ინვესტიციებიდან, სხვა ინვესტიციებიდან და სარეზერვო აქტივებიდან.

ტრანსფერტები განისაზღვრება როგორც დამაბალანსებელი ჩანაწერი რეალური ან ფინანსური აქტივების ერთი ეკონომიკიდან მეორე ეკონომიკაზე ცალმხრივად გადაცემის დროს. ტრანსფერტები იყოფა მიმდინარე და კაპიტალურ ტრანსფერტებად, რაც, თავის მხრივ, შედგება სამთავრობო და სხვა სექტორის ტრანსფერტებისაგან. მიმდინარე ტრანსფერტების ყველაზე გავრცელებული სახეა ჰუმანიტარული და ტექნიკური დახმარება, ხოლო კაპიტალური ტრანსფერტებისა - კრედიტორის მიერ ვალის ჩამოწერა, მიგრანტების ტრანსფერტები.

პირდაპირი ინვესტიცია არის საერთაშორისო ინვესტიციის კატეგორია. აღნიშნული კატეგორია გულისხმობს ამა თუ იმ ეკონომიკის რეზიდენტი ერთეულის (პირდაპირი ინვესტორი) გრძელვადიან

ინტერესს სხვა ეკონომიკის რეზიდენტ ერთეულში (პირდაპირი ინვესტორის სანარმო). სანარმოს პირდაპირი ინვესტორი არის ინვესტორი, რომელიც ფლობს სანარმოს აქციების ან ხმის უფლების 10 პროცენტს ან მეტს (კორპორაციული სანარმოს შემთხვევაში), ან ეკვივალენტურ ძალაუფლებას (არაკორპორაციული სანარმოს შემთხვევაში). „პირდაპირი ინვესტირების“ განსაზღვრება ასევე ვრცელდება ფულად ან/და ნატურალურ ინვესტიციებზე ურთიერთდაკავშირებულ სანარმოებს შორის, ანუ კაპიტალურ ინვესტიციებზე ფილიალებსა და მათ სათავე ოფისებს შორის. პირდაპირი ინვესტიცია მოიცავს სააქციო კაპიტალს და სხვა კაპიტალს. პირდაპირი ინვესტიციები კლასიფიცირდება ინვესტიციის მიმართულების მიხედვით (საზღვარგარეთ ან საქართველოში), ხოლო ამ კატეგორიებში სააქციო კაპიტალისა და სხვა კაპიტალის დაყოფა ხდება აქტივებად და ვალდებულებებად.

პორტფელის ინვესტიცია შეიძლება იყოს:

- აქციების სახით (როდესაც ინვესტორი ფლობს აქციების 10 პროცენტზე ნაკლებს).
- სავალო ფასიანი ქაღალდების სახით, რაც, თავის მხრივ, იყოფა ობლიგაციებად და ფულადი ბაზრის ინსტრუმენტებად.

ფინანსური წარმოებულები - ფინანსური ინსტრუმენტები, რომლებიც მიბმულია კონკრეტულ ფინანსურ აქტივზე, ინდიკატორზე ან რაიმე სახის აქტივზე. მათი მეშვეობით ხდება ფინანსური რისკებით ვაჭრობა საფინანსო ბაზრებზე. ფინანსური წარმოებულები მოიცავს ტრანზაქციებს სვოპებით, ოფციონებით, სადეპოზიტო გარანტიებითა და სხვ. და აღირიცხება წმინდა სახით.

სხვა ინვესტიციის პირველადი დაყოფა ხდება აქტივებად (მოთხოვნები არარეზიდენტებისადმი) და ვალდებულებებად (არარეზიდენტების მიმართ). აქტივები და ვალდებულებები, თავის მხრივ, კლასიფიცირდება სავაჭრო კრედიტებად, ნაღდ ფულად და დეპოზიტებად, სესხებად და სხვა აქტივ/ვალდებულებებად.

- სავაჭრო კრედიტები წარმოადგენს მოთხოვნებსა და ვალდებულებებს, რომელიც წარმოიქმნება მიმწოდებელსა და მყიდველს შორის უშუალო ურთიერთობისას

- როდესაც თანხის გადახდის დრო არ ემთხვევა საკუთრების ცვლილების დროს. სავაჭრო კრედიტი არ გულისხმობს სავალო ფასიანი ქაღალდის გამოშვებას ან რაიმე დოკუმენტის შექმნას. საქართველოს საგადასახდელო ბალანსის ამ მუხლში აღირიცხება პროდუქციით ვაჭრობის დროს წინასწარ გადახდა/მიწოდებები.

- სხვადასხვა ვადაგადაცილებები აღირიცხება „სხვა ვალდებულებების“ მუხლში. ეს მუხლი ძირითადად მოიცავს ვადაგადაცილებებს საგარეო ვალის მომსახურებაზე და SDR-ის განაწილებით წარმოქმნილ ვალდებულებას.

სარეზერვო აქტივები მონეტარული ხელისუფლების განკარგულებაში არსებული ფინანსური აქტივებია და გამოიყენება ქვეყნის საერთაშორისო ვალდებულებების შესასრულებლად, ეროვნული ვალუტის კურსის მხარდასაჭერად და საგადასახდელო ბალანსის რეგულირებისათვის. კერძოდ, ის შეიძლება გამოყენებულ იქნეს პირდაპირ საგადასახდელო ბალანსის დეფიციტის დასაფინანსებლად ან დეფიციტზე არაპირდაპირი ზეგავლენის მოსახდენად (სავალუტო ბირჟაზე ჩარევის გზით ეროვნული ვალუტის გაცვლითი კურსის დასარეგულირებლად).

ფინანსური ანგარიშის კლასიფიკაცია ხდება შემდეგი სექტორების მიხედვით: მონეტარული ხელისუფლება, სამთავრობო სექტორი, ბანკები, სხვა სექტორები; პორტფელის ინვესტიციები და სხვა ინვესტიციები კლასიფიცირდება გრძელვადიან და მოკლევადიან ინვესტიციებად.

ინფორმაციის რეგისტრაცია

საგადასახდელო ბალანსში ოპერაციების აღირიცხვა წარმოებს ორმაგი ჩანწერის საბუღალტრო პრინციპის საფუძველზე. თითოეული ტრანზაქცია აღირიცხება ორი (ან მეტი) თანაბარი სიდიდის ჩანაწერით. ერთ-ერთი ჩანაწერი კეთდება კრედიტის მხარეს დადებითი ნიშნით, ხოლო მეორე - დებეტის მხარეს უარყოფითი ნიშნით. მაგალითად, საქონლის ექსპორტი საგადასახდელო ბალანსში აისახება, როგორც ჩანაწერი ექსპორტის კრედიტის მუხლში და იმავე სიდიდის ჩანაწერი დებეტის მხარეს აქტივის მუხლში - „ნაღდი ფული და

დეპოზიტები“. ყველა დებეტისა და კრედიტის ჯამი ერთმანეთის ტოლი უნდა იყოს, ანუ ყველა ჩანაწერის ჯამი საგადასახდლო ბალანსში ნულს უნდა უდრიდეს. თუმცა პრაქტიკაში, ხშირად საგადასახდლო ბალანსის ანგარიშები არ ბალანსდება. საგადასახდლო ბალანსის სხვადასხვა მუხლების შეფასება ხდება სხვადასხვა ინფორმაციის წყაროზე დაყრდნობით. შედეგად, ყველა კრედიტისა და დებეტის ჯამი ერთმანეთს არ უდრის და საჭიროა დამაბალანსებელი ჩანაწერის გაკეთება შესაბამის მუხლში (წმინდა შეცდომები და გამოტოვებები).

კრედიტის ჩანაწერები კეთდება შემდეგ შემთხვევებში:

- რეალური აქტივების ექსპორტის დროს;
- ფინანსური მუხლებისათვის უცხოური აქტივების შემცირებისა და უცხოური ვალდებულებების გაზრდისას.
- დებეტის ჩანაწერები კეთდება:
- რეალური აქტივების იმპორტის შემთხვევაში;
- ფინანსური მუხლებისათვის უცხოური აქტივების გაზრდისა და უცხოური ვალდებულებების შემცირების დროს;

ტრანსფერტები აღირიცხება კრედიტში თუ ჩანაწერები, რომელთა დამაბალანსებელი ჩანაწერიც არის ტრანსფერტი, აღირიცხება დებეტში და პირიქით.

ინფორმაციის წყარო

საქართველოს საგადასახდლო ბალანსის კომპილაციის ძირითადი საინფორმაციო წყაროებია: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური (ინფორმაცია საქონლითა და მომსახურებით ვაჭრობის შესახებ, სანარმოთა გამოკვლევა, შინამეურნეობების გამოკვლევა, სპეციალური კვლევები); საბანკო დაწესებულებები; ფინანსთა სამინისტრო; სხვადასხვა სამინისტროები და უწყებები; საერთაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენლობები საქართველოში; სხვა ქვეყნების საელჩოები.

გარდა ზემოაღნიშნულისა, 2009 წლიდან დაიწერა “საერთაშორისო ტრანზაქციების ანგარიშგების სისტემა” (ITRS), რომელიც გულისხმობს საგადასახდლო ბალანსის ოპერაციების ჭრილში

მონაცემების შეგროვებას საბანკო სისტემის მეშვეობით.

ინფორმაციის ხარისხის გაუმჯობესების მიზნით, აღნიშნული წყაროებიდან მიღებულ ინფორმაციასთან ერთად ხდება სხვადასხვა მონაცემების შემდგომი შეფასება და შესწორება.

საქონლის ექსპორტი/იმპორტი

- საგადასახდლო ბალანსში საქონლის ექსპორტი და იმპორტი აღირიცხება FOB ფასებში.
- საიმპორტო საქონლის ფასები CIF ფასებიდან გადაიყვანება FOB ფასებში. აღნიშნული შესწორებისათვის გამოიყენება კოეფიციენტები, რომლებიც დაიანგარიშება ერთეულოვანი წონის საქონლის ტრანსპორტირების ღირებულების მიხედვით თითოეული ტრანსპორტის სახეობისა და რეგიონისთვის (მეზობელი ქვეყნებისთვის კოეფიციენტი ნულის ტოლია).
- საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურიდან მიღებულ ოფიციალურ ინფორმაციას ემატება საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ გაკეთებული შეფასებები სხვადასხვა საქონლისა თუ მომსახურების ექსპორტი/იმპორტის შესახებ.

შენიშვნა: განსხვავება საგადასახდლო ბალანსის ექსპორტი-იმპორტის მონაცემებსა და სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მიერ მოყვანილ საგარეო ვაჭრობის სტატისტიკის მონაცემებს შორის, განპირობებულია ობიექტური, მეთოდოლოგიური მიზეზით: საგარეო ვაჭრობის სტატისტიკა ეფუძნება საქონლის მიერ საზღვრის გადაკვეთის პრინციპს მაშინ, როდესაც საქონლით ვაჭრობა საგადასახდლო ბალანსში ეფუძნება რეზიდენტიდან არარეზიდენტზე საკუთრების უფლების გადასვლის პრინციპს. არის პოზიციები, რომლებიც შედის საგადასახდლო ბალანსის საქონლით ვაჭრობაში და არ შედის საგარეო ვაჭრობის სტატისტიკაში, ესენია: საქონლის რემონტი, პორტებში შექმნილი საქონელი, არაორგანიზებული ვაჭრობა, აღურიცხავი იმპორტი/ექსპორტის ოპერაციები. გარდა ამ განსხვავებებისა, იმპორტის ნაწილში გამოიყენება სხვადასხვა ფასთა სისტემა. კერძოდ, იმპორტი საგადასახდლო ბალანსში აღირიცხება FOB ფასით, მაშინ როცა საგარეო ვაჭრობის სტატისტიკაში CIF ფასით. რაც შეეხება უშუალოდ ექსპორტს: საქსტატის საგარეო ვაჭრობის ექსპორტს საგადასახდლო ბალანსში ემატება საქონლის რემონტი (მაგ. ვაგონების, საფრენი აპარატების რემონტი) და პორტებში შექმნილი საქონელი (მაგ. თვითმფრინავების მიერ აეროპორტში შექმნილი სანავიგაციო, რომლსაც საბაჟო ვერ აღრიცხავს). ეს ორივე ერთად დაახლოებით 5%-ია. დეკლარირებული საქონლის ექსპორტის დაახლოებით 5.5 % ემატება არაორგანიზებული ვაჭრობა. მასში შედის მცირე მოვაჭრეების მიერ გატანილი

საქონელი, რომელიც საქართველოს კანონმდებლობით არ ექვემდებარება საბაჟო დეკლარირებას.

ძირითადი შესწორება (დაახლოებით 44-45 პროცენტი) ეფუძნება სარკისებურ შედარებას. ჩვენი ექსპორტის მონაცემები დარდება პარტნიორი ქვეყნის იმპორტის მონაცემებთან. განსხვავება იყოფა ორ ნაწილად. ერთი ნაწილია ფასის სხვაობა და მეორე აღურიცხავი საქონელი (რაოდენობრივი განსხვავება).

აღურიცხავი ექსპორტის შესაფასებლად ეროვნული ბანკი იყენებს ძირითადი პარტნიორი ქვეყნების მონაცემებს, როგორცა: ევროკავშირი, თურქეთი, აზერბაიჯანი, სომხეთი, რუსეთი, უკრაინა. ამ მიზნით დამატებით გამოიყენება გაეროს სტატისტიკური დეპარტამენტის ბაზა (COMTRADE). ანალოგიურად, ჩვენი პარტნიორი ქვეყნები, მათ შორის ევროკავშირი იყენებს სქართველოს იმპორტის მონაცემებს, საკუთარი მონაცემების კორექტირებისათვის. მონაცემთა კორექტირება, მიღებული პრაქტიკაა და ამას ყველა ქვეყანა აკეთებს. საბაჟოს მხრიდან ექსპორტის მონაცემების სტატისტიკურ აღურიცხვაზე, როგორც წესი უფრო ნაკლები რესურსი იხარჯება, ვიდრე იმპორტზე, რადგან განსხვავებით იმპორტისაგან, ექსპორტის დროს არ ხდება გადასახადების გადახდა.

მომსახურება

სატრანსპორტო მომსახურება

- სატრანსპორტო მომსახურების ღირებულების შესწორება ხდება საიმპორტო საქონლის ფასების CIF ფასიდან FOB ფასში გადაყვანის შედეგად (იხ.საქონლის ექსპორტი/იმპორტი), და დაიყოფა ტრანსპორტის სახეების მიხედვით (სარკინიგზო, საჰაერო, საავტომობილო და ა.შ.).
- გარდა ამისა, ხდება მონაცემების მოპოვება სხვა წყაროებიდან, ესენია: შპს „საქართველოს რკინიგზა“, შპს „საქაერონავიგაცია“, საქართველოში არსებული პორტები და აეროპორტები. ამასთან, საზღვრის დაცვის სამსახურის ინფორმაციაზე დაყრდნობით, წარმოებს ირიბი შეფასება სატრანსპორტო მომსახურების ექსპორტი/იმპორტის შესახებ.

- ტურიზმი
- ტურიზმის შესახებ მონაცემები დგება შინამეურნეობების რეგულარული კვლევის მასალების მიხედვით. საქმიანი ტურიზმის შესახებ დამატებითი ინფორმაცია მიიღება სახელმწიფო სტრუქტურებიდან (სამინისტროები, დეპარტამენტები და სხვ.), აგრეთვე, საბანკო სექტორიდან;
- ირიბი შეფასებისათვის გამოიყენება საზღვრის დაცვის სამსახურის ინფორმაცია ქვეყანაში შემოსული და ქვეყნიდან გასული მოქალაქეების შესახებ. გარდა ამისა, ფასდება საქონლის საექსპორტო/საიმპორტო ოპერაციებით დაკავებულ პირთა დანახარჯები საზღვარგარეთ და ერთ წელზე ნაკლები დროით საზღვარგარეთ მომუშავეთა დანახარჯები.

სხვა მომსახურება

- მონაცემები სხვა მომსახურებაზე, როგორცაა საკონსულტაციო, სამშენებლო, ფინანსური და ა.შ. მოიპოვება იმ საწარმოებიდან, რომლებიც იყენებენ ამ ტიპის მომსახურებას, შემდეგ ხდება მომსახურების მოცულობის კორექტირება. ინფორმაცია უცხოური საელჩოების, დიპლომატიური წარმომადგენლობებისა და საერთაშორისო ორგანიზაციების დანახარჯებზე ფასდება ირიბი მეთოდით. მონაცემები საზღვარგარეთ საქართველოს დიპლომატიური წარმომადგენლობების დანახარჯებზე მიიღება საგარეო საქმეთა სამინისტროდან. ინფორმაცია ფინანსური მომსახურების შესახებ მოიპოვება კომერციული ბანკებიდან წარმოდგენილი ანგარიშგებიდან, დაზღვევის მომსახურების შესახებ კი - სადაზღვევო კომპანიებიდან.

შემოსავალი

- მუშაკთა შრომის ანაზღაურებაზე შეფასებები ძირითადად ემყარება შინამეურნეობების კვლევის მასალებს, გამოიყენება ასევე საბანკო ინფორმაცია სწრაფი ფულადი გზავ-

ნილებების შესახებ, აგრეთვე ფასდება საერთაშორისო ორგანიზაციებში დასაქმებულ რეზიდენტთა შემოსავლები;

- საინვესტიციო შემოსავალი გამოითვლება სხვადასხვა წყაროზე დაყრდნობით: ფინანსთა სამინისტროს ანგარიში სახელმწიფო ან სახელმწიფო გარანტიით აღებული ვალის პროცენტის გადახდაზე; კომერციული ბანკების ანგარიში საბანკო სექტორში ვალების პროცენტების გადახდაზე.

მიმდინარე ტრანსფერტები

- მუშაკთა გზავნილების შესაფასებლად გამოიყენება იგივე მეთოდოლოგია, რაც მუშაკთა შრომის ანაზღაურების შემთხვევაში;
- ფინანსთა სამინისტროს ანგარიშებიდან და იმ საერთაშორისო ორგანიზაციებიდან და ფონდებიდან, რომელთაც თავიანთი ოფისები აქვთ საქართველოს ტერიტორიაზე, მიიღება ინფორმაცია საგარეო სექტორიდან საქართველოში შემოსული ტექნიკური და ჰუმანიტარული დახმარების შესახებ;
- გარდა ამისა, გამოიყენება საბაჟო დეპარტამენტიდან მოპოვებული ინფორმაცია ჰუმანიტარული ტვირთების მოძრაობის შესახებ;
- საგარეო საქმეთა სამინისტროს მიერ წარმოდგენილი მონაცემები სხვადასხვა საერთაშორისო ორგანიზაციაში სანევრო შენატანების შესახებ.
- ქართველი სტუდენტების განათლებაზე განეული გრანტების ღირებულება ფასდება განათლების სამინისტროდან და შინამეურნეობების კვლევებიდან მიღებული ინფორმაციის საფუძველზე.

კაპიტალის ანგარიში

- კაპიტალური ტრანსფერტები გამოიანგარიშება ფინანსთა სამინისტროს ჰუმანიტარული და ტექნიკური დახმარების დეპარტამენტის ინფორმაციის ბაზაზე დაყრდნობით და სხვა წყაროების გამოყენებით.
- მიგრანტთა ტრანსფერტები გამოითვლება სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მიერ

ჩატარებული შერჩევითი კვლევებიდან მიღებული ინფორმაციის საფუძველზე. შეფასებისთვის კი გამოიყენება საზღვრის დაცვის სამსახურის ინფორმაცია ქვეყანაში შემოსული და ქვეყნიდან გასული მოქალაქეების შესახებ.

ფინანსური ანგარიში

პირდაპირი ინვესტიციები

- მონაცემები პირდაპირი ინვესტიციების შესახებ ფასდება საწარმოთა გამოკვლევებიდან, საბანკო სექტორის შესახებ - კომერციული ბანკების ანგარიშგებიდან, სადაზღვევო სფეროს შესახებ კი სადაზღვევო კომპანიების მონაცემებზე დაყრდნობით;
- რაც შეეხება საქართველოს პირდაპირ ინვესტიციებს საზღვარგარეთ, ისინი მცირე მოცულობისაა, ამიტომ ჩვენს ხელთ არსებული ინფორმაცია ასეთი საწარმოების შესახებ შეიძლება არასრული იყოს.

პორტფელის ინვესტიციები

- ინფორმაციას სააქციო კაპიტალში განხორციელებული პორტფელის ინვესტიციების შესახებ, ვლბულობთ საწარმოთა კვლევებიდან, კომერციული ბანკების, მიკროსაფინანსო ორგანიზაციებისა და სადაზღვევო კომპანიების ანგარიშგებიდან. მონაცემებს სავალო ფასიანი ქაღალდების შესახებ ვიღებთ ფინანსთა სამინისტროდან (სახელმწიფო და სახელმწიფოს საკუთრებაში არსებული საწარმოების მიერ გამოშვებული ევროობლიგაციები), ეროვნული ბანკიდან (არარეზიდენტების მიერ შექმნილი სახაზინო ვალდებულებები და სახელმწიფო ობლიგაციები), ასევე კომერციული ბანკებიდან და მიკროსაფინანსო ორგანიზაციებიდან.

სხვა ინვესტიციები

- სავაჭრო კრედიტების შესახებ მონაცემები ფასდება საწარმოთა კვლევებიდან მიღებული ინფორმაციის ბაზაზე;
- მონაცემები სესხებზე, გარდა სხვა სექტორებისა, გამოიანგარიშება ფინანსთა სამინისტროსა და კომერციული ბანკების

ანგარიშებიდან. 2008 წლიდან, (მონაცემების მოცვა ხდება 2005 წლიდან) ანგარიშს დაემატა მიკროსაფინანსო ორგანიზაციების საგარეო ვალის შესახებ ინფორმაცია. რაც შეეხება სესხებს სხვა სექტორებში, ის ძირითადად შეფასებულია სანარმოთა კვლევიდან მიღებული ინფორმაციის საფუძველზე, გარკვეული დამატებითი მონაცემები მიიღება ფინანსთა სამინისტროს შესაბამისი სამმართველოს ანგარიშებიდან.

სარეზერვო აქტივები

- სარეზერვო აქტივების მონაცემთა წყაროა საქართველოს ეროვნული ბანკის საბალანსო ანგარიშები.

1.2 საინვესტიციო პოზიციის მეთოდოლოგიური სტანდარტები

საქართველოს საერთაშორისო საინვესტიციო პოზიცია იანგარიშება საერთაშორისო სავალუტო ფონდის საგადასახდლო ბალანსის სახელმძღვანელოს (მეხუთე გამოცემა) რეკომენდაციებით განსაზღვრული სტანდარტების შესაბამისად.

ქვეყნის საერთაშორისო საინვესტიციო პოზიცია (სსპ) აჩვენებს დროის გარკვეულ მომენტში საგარეო ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების ნაშთებს. სსპ აერთიანებს არარეზიდენტებისადმი მოთხოვნებსა და მათ მიმართ სხვადასხვა სახის ვალდებულებებს ეკონომიკის შემდეგ სექტორში: მონეტარულ ხელისუფლებაში, სამთავრობო, საბანკო და სხვა სექტორებში. სსპ-ის ძირითადი მუხლები საგადასახდლო ბალანსის ფინანსური ანგარიშის მუხლების იდენტურია და მოიცავს: პირდაპირ ინვესტიციებს, პორტფელის ინვესტიციებს, ფინანსურ წარმოებულებს, სხვა ინვესტიციებსა (სავაჭრო კრედიტები, სესხები, ნაღდი ფული და დეპოზიტები, სხვა აქტივ/ვალდებულები) და სარეზერვო აქტივებს.

სხვაობა ეკონომიკის ფინანსურ აქტივებსა და ვალდებულებებს შორის შეადგენს წმინდა საერთაშორისო საინვესტიციო პოზიციას. ამგვარად, სსპ შეიძლება იყოს წმინდა კრედიტული ან წმინდა დებეტური.

საერთაშორისო საინვესტიციო პოზიცია მუშავდება ცხრილის სახით, რომელიც შეიცავს შემდეგ დეტალებს:

	პოზიცია პერიოდის დასაწყისში	პოზიციის ცვლილება				პოზიცია პერიოდის ბოლოს
		ოპერაციული ცვლილება	ფასის ცვლილება	გაცვლითი კურსის ცვლილება	სხვა ცვლილება	
წმინდა საერთაშორისო საინვესტიციო პოზიცია						
აქტივები						
ვალდებულებები						

ამრიგად, საერთაშორისო საინვესტიციო პოზიცია პერიოდის ბოლოს იანგარიშება, როგორც ნაშთს პერიოდის დასაწყისში დამატებული პერიოდის განმავლობაში მომხდარი ოპერაციული ცვლილება, გაცვლითი კურსის, ფასისა და სხვა ცვლილება.

ოპერაციული ცვლილება ასახავს საგადასახდე-

ლო ბალანსის ფინანსური ანგარიშის ტრანზაქციებს. სხვა ცვლილებები მოიცავს შესწორებებს, რეკლასიფიკაციას და სსპ-ს მეთოდოლოგიით განსაზღვრულ სხვა ცვლილებებს.

საერთაშორისო საინვესტიციო პოზიციის კომპილაციისათვის გამოიყენება საგადასახდლო ბალანსისათვის იდენტური საინფორმაციო წყაროები.

1.3 საბარაო ვალის მეთოდოლოგიური სტანდარტები

საქართველოს საგარეო ვალის შედგენა წარმოებს საერთაშორისო სავალუტო ფონდის სახელმძღვანელოს („საგარეო ვალის სტატისტიკა: სახელმძღვანელო შემდგენელთა და მომხმარებელთათვის“) რეკომენდაციის შესაბამისად.

საქართველოს მთლიანი საგარეო ვალი წარმოადგენს დროის გარკვეული პერიოდისათვის არსებულ ნაშთს ყველა იმ მიმდინარე, და არა სავარაუდო, ვალდებულებაზე, რომელიც დებეტორს ავალდებულებს ძირითადი თანხის ან საპროცენტო განაკვეთის გადახდას მომავალში, დროის გარკვეულ მომენტში და წარმოადგენს რეზიდენტის უპირობო ვალდებულებას არარეზიდენტის მიმართ.

საგარეო ვალი შედგება შემდეგი კომპონენტებისაგან:

- სავალო ვალდებულებები;
- სესხები;
- სავაჭრო კრედიტები;
- ნაღდი ფული და დეპოზიტები;
- სხვა სასესხო ვალდებულებები;
- პირდაპირი ინვესტიციის კომპანიათაშორისი სესხები.

სავალო ვალდებულებები მოიცავს საქართველოს რეზიდენტების მიერ გამოშვებულ სავალო ვალდებულებებს, რომელთაც ფლობენ არარეზიდენტები. სავალო ვალდებულებები კლასიფიცირდება სექტორების (გამომშვების სექტორი) და ფინანსური ინსტრუმენტების მიხედვით.

სავალო ვალდებულებებზე ნაშთი დროის გარკვეული მომენტისათვის არის: არარეზიდენტების საკუთრებაში არსებული და საქართველოს რეზიდენტების მიერ გამოშვებული სავალო ვალდებულებების ჯამს მინუს ვადაგადაცილებული ვალდებულებები, პლუს საანგარიშო პერიოდში დარიცხული პროცენტი (თუ პროცენტის გადახდა გრაფიკით განსაზღვრულია მომავალ პერიოდში).

სესხების სტრუქტურაში შედის:

- საერთაშორისო სავალუტო ფონდის სესხები
- საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ მიღებული სესხები საერთაშორისო სავალუტო ფონდიდან;

- სახელმწიფო სესხები - სახელმწიფოს მიერ მიღებული სესხები;
 - სესხები სახელმწიფო გარანტიით - კერძო სექტორის მიერ მიღებული საგარეო სესხები, რომელთა გარანტი არის მთავრობა;
 - კერძო სესხები - კერძო სექტორის მიერ მიღებული საგარეო სესხები (გარდა პირდაპირი ინვესტორისგან მიღებული სესხებისა);
- სესხებზე ნაშთი, დროის გარკვეული მომენტისათვის, შედგება საქართველოს რეზიდენტების მიერ მიღებული საგარეო სესხების ჯამს მინუს საანგარიშო პერიოდში გრაფიკით განსაზღვრული ძირითადი თანხის გადახდები და მინუს ფაქტიურად განხორციელებული წინასწარი გადახდები.

სავაჭრო კრედიტები შედგება იმ ვალდებულებებისაგან, რომლებიც წარმოიშვება საქონლისა და მომსახურების უშუალოდ მიწოდების დროს:

- ეკონომიკური აგენტის მიერ მიღებული წინასწარი გადახდა;
- იმპორტირებულ საქონელსა ან მომსახურებასთან დაკავშირებული ვალდებულებები, რომელთა დაფარვაც არ მოხდა ვადაში.

ნაღდი ფული და დეპოზიტები მოიცავს საქართველოს საბანკო სისტემაში არსებულ არარეზიდენტების დეპოზიტებს.

სხვა ვალდებულებები მოიცავს:

საგარეო სესხებსა და სავალო ვალდებულებებზე ძირითადი თანხისა და საპროცენტო განაკვეთის მიხედვით არსებულ ვადაგადაცილებულ დავალიანებას.

პირდაპირი ინვესტიციების კომპანიათაშორისი სესხები მოიცავს:

- სესხებს, მიღებულს არარეზიდენტი პირდაპირი ინვესტორისაგან ან საზღვარგარეთ არსებული ფილიალებისა და წარმომადგენლობებისაგან;
- ვადაგადაცილებებს ამ სესხებზე, ძირითადი თანხისა და საპროცენტო განაკვეთის მიხედვით.

კომპანიათაშორის სესხებზე არსებული დავალიანება შედგება დროის გარკვეული მომენტისათვის არსებული საგარეო სესხების ნარჩენი დავალიანებისაგან, რომელიც საქართველოს საწარმოებმა ან

პირდაპირმა ინვესტორებმა მიიღეს, შესაბამისად, არარეზიდენტი პირდაპირი ინვესტორის ან შვილობილი კომპანიებისაგან, მინუს საანგარიშო პერიოდში გრაფიკით განსაზღვრული ძირითადი თანხის გადახდები, მინუს ფაქტიურად განხორციელებული ნისასნარი გადახდები.

საგარეო ვალი, საგადასახდელი ბალანსის მსგავსად, კლასიფიცირდება ინსტიტუციური სექტორების მიხედვით: მონეტარული ხელისუფლება, სამთავრობო სექტორი, საბანკო სექტორი და სხვა სექტორები. გარანტიის ქვეშ მყოფი საგარეო ვალ-

დებულებები კი კლასიფიცირდება მსესხებლის სექტორის შესაბამისად. გარანტორის მიხედვით რეკლასიფიკაცია ხდება მხოლოდ გარანტიის ამოქმედების შემთხვევაში.

ანალიზის მიზნებიდან გამომდინარე, საგარეო ვალი კლასიფიცირდება ვადიანობის მიხედვით - მოკლევადიანად და გრძელვადიანად, საწყისი ვადიანობიდან გამომდინარე.

საგარეო ვალის კომპილაციისთვის გამოიყენება საგადასახდელი ბალანსისა და საერთაშორისო საინვესტიციო პოზიციის იდენტური საინფორმაციო წყარო.

2. საქართველოს საგადასახდლო ბალანსი 2011 წლისათვის

2.1 ზოგადი მიმოხილვა

2011 წლის მიმდინარე ანგარიშის დეფიციტს მნიშვნელოვან წილად საქონლით ვაჭრობა და შემოსავლები, კერძოდ კი, საინვესტიციო შემოსავლები განსაზღვრავდა. სავაჭრო დეფიციტი 2011 წელს წინა წელთან შედარებით 32.0 პროცენტით გაიზარდა და 3.4 მილიარდი აშშ დოლარი შეადგინა. გაზრდილია როგორც საქონლის იმპორტი, ასევე ექსპორტი. ამასთან, ექსპორტის და იმპორტის ზრდის ტემპები პრაქტიკულად ერთნაირი იყო (შესაბამისად 32.2 და 32.1 პროცენტი), თუმცა აბსოლუტურ გამოსახულებაში იმპორტის ზრდამ ექსპორტისას 828.8 მლნ აშშ დოლარით გადააჭარბა, და შესაბამისად, ამდენითვე გაიზარდა სავაჭრო დეფიციტი. მიმდინარე ანგარიშის დეფიციტის ზრდაში, ასევე, მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა წმინდა შემოსავლების შემცირებამ, რაც საინვესტიციო შემოსავლების დეპეტის ზრდითაა გამოწვეული.

2011 წელს ძირითადი საექსპორტო საქონელი იყო მსუბუქი ავტომობილები (რაც ძირითადად რეექსპორტს წარმოადგენს), ფეროშენადნობები, აზოტოვანი სასუქები, თხილი და შავი ლითონების ჯართი. ექსპორტი ძირითადი ეკონომიკური კატეგორიების ქრილში შემდეგნაირად გამოიყურება: ყველაზე დიდი წილი, 53.3 პროცენტი, უჭირავს შუალედური მოხმარების საქონელს, 42.6 პროცენტი - სამომხმარებლო საქონელს, ხოლო საინვესტიციო საქონლის ექსპორტის მაჩვენებელი მხოლოდ 3.9 პროცენტია.

2011 წელს ძირითადი საიმპორტო საქონელი

იყო ნავთობპროდუქტები, მსუბუქი ავტომობილები, ნავთობის აირები, სამკურნალო საშუალებები და ხორბალი. იმპორტის 14.1 პროცენტი საინვესტიციო საქონელს უჭირავს, 38.6 პროცენტი - შუალედური მოხმარების საქონელს, ხოლო სამომხმარებლო საქონლის წილად 47.0 პროცენტი მოდის.

უნდა აღინიშნოს, რომ საინვესტიციო საქონლისა და შუალედური საქონლის იმპორტის ნაწილი ზრდის ქვეყნის პროდუქტიულობას, რაც მომავალში მაღალი ეკონომიკური ზრდის საწინდარია. აქვე უნდა ითქვას, რომ 2011 წელს საინვესტიციო საქონლის იმპორტის (58.7 პროცენტით) და შუალედური საქონლის იმპორტის (37.1 პროცენტით) ზრდამ გადააჭარბა სამომხმარებლო საქონლის იმპორტის (26.7 პროცენტი) მატებას, რაც ეკონომიკური ზრდის ხელშემწყობია.

რაც შეეხება მომსახურების ანგარიშის სალდოს, იგი 2011 წელს დადებითი იყო და ნაწილობრივ აბალანსებდა მიმდინარე ანგარიშის დეფიციტს. საანგარიშო წელს მომსახურების ექსპორტი 24.5 პროცენტით გაიზარდა, ხოლო იმპორტი - 16.0 პროცენტით, ამან მომსახურების სალდოს 42.5 პროცენტით ზრდა უზრუნველყო. მომსახურების ექსპორტის ზრდაში ყველაზე დიდი წვლილი ტურიზმმა შეიტანა. თუ 2010 წელს ტურისტული მომსახურების ექსპორტი 659.2 მლნ აშშ დოლარი იყო, 2011 წელს ის 43.4 პროცენტით გაიზარდა და 945.2 მლნ აშშ დოლარი შეადგინა.

ცხრილი 2.1.1 ძირითადი მაკროეკონომიკური ინდიკატორები

ეკონომიკური მაჩვენებელი	ზომის ერთეული	2007	2008	2009	2010	2011
მშპ მიმდინარე ფასებში	მლნ ლარი	16,993.8	19,074.9	17,986.0	20,743.4	24,229.1
მშპ მიმდინარე ფასებში	მლნ აშშ დოლარი	10,171.9	12,800.5	10,767.1	11,636.5	14,370.4
რეალური მშპ-ს ზრდა	%	12.3	2.3	-3.8	6.3	7.0
სოფლის მეურნეობა და თევზჭერა	მლნ აშშ დოლარი	935.4	1,040.9	872.3	847.0	1,154.6
მრეწველობა (სამთომოპოვებითი და გადამამუშავებელი)	მლნ აშშ დოლარი	921.3	1,099.4	830.4	1,029.8	1,352.4
მშენებლობა	მლნ აშშ დოლარი	683.2	710.2	601.2	617.1	766.0
ვაჭრობა	მლნ აშშ დოლარი	1,297.2	1,799.0	1,403.2	1,696.9	2,142.7
ტრანსპორტი	მლნ აშშ დოლარი	736.9	780.1	681.3	793.8	937.5
სახელმწიფო მმართველობა	მლნ აშშ დოლარი	1,303.0	1,912.6	1,471.2	1,314.4	1,448.9
ფართო ფული (M3) პერიოდის ბოლოს	მლნ ლარი	4,098.9	4,421.7	4,763.6	6,199.0	7,097.8
სამომხმარ. ფასების ინდექსი პერიოდის ბოლოს	%	111.0	105.5	103.0	111.2	102.0
საშუალო წლიური გაცვლითი კურსი	დოლარი/ლარი	1.6703	1.4902	1.6705	1.7826	1.6860
საშუალო წლიური გაცვლითი კურსი	ევრო/ლარი	2.2862	2.1886	2.3305	2.3644	2.3473
მიმდინარე ანგარიში	მლნ აშშ დოლარი	-2,009.4	-2,813.0	-1,133.9	-1,188.5	-1,790.4
მიმდინარე ანგარიში/მშპ-თან	%	-19.8	-22.0	-10.5	-10.2	-12.5
მიმდინარე ანგარიში ტრანსფერტების გარეშე	მლნ აშშ დოლარი	-2,697.9	-3,873.3	-2,101.4	-2,287.0	-3,105.8
მიმდინარე ანგარიში ტრანსფერტების გარეშე/მშპ-თან	%	-26.5	-30.3	-19.5	-19.7	-21.6
საქონლისა და მომსახურების ბალანსი	მლნ აშშ დოლარი	-2,734.6	-3,815.2	-2,060.1	-2,072.8	-2,683.6
საქონლისა და მომსახურების ბალანსი/მშპ-თან	%	-26.9	-29.8	-19.1	-17.8	-18.7
საქონლისა და მომსახურების ექსპორტი	მლნ აშშ დოლარი	3,182.4	3,688.4	3,207.2	4,061.0	5,245.3
საქონლისა და მომსახურების ექსპორტი/მშპ-თან	%	31.3	28.8	29.8	34.9	36.5
მიმდინარე ტრანსფერტები (წმინდა)	მლნ აშშ დოლარი	688.5	1,060.4	967.5	1,098.5	1,315.3
მიმდინარე ტრანსფერტები (წმინდა)/ მშპ-თან	%	6.8	8.3	9.0	9.4	9.2
საქონლისა და მომსახურების ექსპორტი/ საქონლისა და მომსახურების იმპორტთან	%	53.8	49.2	60.9	66.2	66.2
საქონლისა და მომსახურების იმპორტი	მლნ აშშ დოლარი	5,917.0	7,503.6	5,267.3	6,133.8	7,928.9
საქონლისა და მომსახურების იმპორტი/მშპ-თან	%	58.2	58.6	48.9	52.7	55.2
საერთაშორისო რეზერვები	მლნ აშშ დოლარი	1,361.2	1,480.2	2,110.4	2,263.9	2,818.3
საერთაშორისო რეზერვები/ საქონლისა და მომსახურების იმპორტთან	თვე	2.8	2.4	4.8	4.4	4.3
პირდაპირი ინვესტიციები საქართველოში, წმინდა ნაკადები, ერთ სულზე	აშშ დოლარი	398.3	357.0	150.2	183.4	250.0
პირდაპირი ინვესტიციები საქართველოში, ნაშთი პერიოდის ბოლოს, ერთ სულზე	აშშ დოლარი	1,218.8	1,543.3	1,697.2	1,876.9	2,149.0
სახელმწიფო და სახელმწიფო გარანტიით აღებული საგარეო ვალი პერიოდის ბოლოს	მლნ აშშ დოლარი	1,850.0	2,556.9	3,663.7	4,222.6	4,509.7
სახელმწიფო და სახელმწიფო გარანტიით აღებული საგარეო ვალის მომს. (ფაქტიური გადახდების მიხედვით, ძირითადი და პროცენტი)	მლნ აშშ დოლარი	147.0	121.1	170.9	176.2	677.2
სახელმწიფო საგარეო ვალი/მშპ-თან	%	18.2	20.0	34.0	36.3	31.4
საგარეო ვალის მომსახურება/ საქონლისა და მომსახურების ექსპორტთან	%	4.6	3.3	5.3	4.3	12.9

შემოსავლების ბალანსის ანგარიში 2008 წლიდან უარყოფითი გახდა, რადგან შემოსავლების ანგარიშის უარყოფითმა კომპონენტმა - საინვესტიციო შემოსავლებმა (ხარჯებმა) გადააჭარბა დადებით კომპონენტს - შრომით შემოსავლებს. 2011 წელს, ეკონომიკის ზრდასთან ერთად, გაიზარდა საინვესტიციო შემოსავლების დებეტი (53.6 პროცენტით), და 1.1 მლრდ აშშ დოლარი შეადგინა. ამის პარალელურად, 2011 წელს გასულ წელთან შედარებით შრომითი შემოსავლის სალდო 32.2 პროცენტით გაიზარდა. შედეგად, შემოსავლების ანგარიშის უარყოფითი სალდო თითქმის გაორმაგდა და -422.1 მლნ აშშ დოლარი შეადგინა.

მიმდინარე ტრანსფერტები მიმდინარე ანგარიშის ყველაზე მსხვილი დადებითი კომპონენტია. 2011 წელს მიმდინარე ტრანსფერტების დადებითი სალდო საქონლის დეფიციტის 38.5 პროცენტს ფარავდა. მიმდინარე ტრანსფერტების სალდო წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით 19.7 პროცენტით გაიზარდა, ხოლო 2011 წელს მიღებული ტრანსფერტები 22.1 პროცენტით გაიზარდა და 1.4 მლრდ აშშ დოლარი შეადგინა.

2011 წელს კაპიტალისა და ფინანსური ანგარიშის დადებითმა სალდომ 1.8 მლრდ აშშ დოლარი შეადგინა, რაც 49.5 პროცენტით მეტია 2010 წლის ანალოგიურ მაჩვენებელზე. აქედან, კაპიტალის ან-

გარიში შემცირდა 53.2 მლნ აშშ დოლარით, ხოლო ფინანსური ანგარიშის სალდო გაიზარდა 651.3 მლნ აშშ დოლარით.

რაც შეეხება ქვეყნის მთლიან საგარეო ვალს, რომელიც ერთ-ერთი მსხვილი კომპონენტია საგარეო სექტორის სტატისტიკაში, 2011 წლის ბოლოსათვის 11.5 მლრდ აშშ დოლარი შეადგინა. 2011 წელს მთლიანი საგარეო ვალის ზრდამ, წინა წელთან შედარებით, 14.4 პროცენტი შეადგინა. აქედან, სახელმწიფო საგარეო ვალი წლის განმავლობაში 6.8 პროცენტით გაიზარდა, ეს ძირითადად გამოწვეულია საერთაშორისო ორგანიზაციებიდან მიღებული კრედიტებით. საბანკო სექტორის საგარეო ვალი გაიზარდა 32.8 პროცენტით, ხოლო სხვა სექტორის საგარეო დავალიანება გაიზარდა 17.7 პროცენტით.

საერთაშორისო რეზერვები 2011 წელს 572.4 მლნ აშშ დოლარით გაიზარდა და 2011 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით 2.8 მლრდ აშშ დოლარი შეადგინა, რაც 4.3 თვის საქონლისა და მომსახურების იმპორტს უზრუნველყოფს, ეს საკმაოდ კარგ მაჩვენებლად ითვლება. ანალოგიური მაჩვენებელი 2010 წელს 4.4 თვე იყო.

შემდეგ ცხრილში გთავაზობთ 2007-2011 წლების საქართველოს საგადასახდლო ბალანსის შემოკლებულ ვერსიას, ძირითადი კომპონენტების მითითებით.

ცხრილი 2.1.2 საქართველოს საგადასახდლო ბალანსი

(მლნ აშშ დოლარი)

	2007	2008	2009	2010	2011
მიმდინარე ანგარიში	-2,009.4	-2,813.0	-1,133.9	-1,188.5	-1,790.4
ა. საქონელი	-2,895.8	-3,836.2	-2,399.9	-2,586.3	-3,415.1
კრედიტი	2,088.3	2,428.0	1,893.6	2,462.2	3,254.5
დებეტი	-4,984.1	-6,264.2	-4,293.5	-5,048.5	-6,669.6
ბ. მომსახურება	161.2	21.0	339.7	513.5	731.4
კრედიტი	1,094.1	1,260.5	1,313.6	1,598.8	1,990.8
დებეტი	-932.9	-1,239.4	-973.9	-1,085.3	-1,259.3
გ. შემოსავალი	36.8	-58.2	-41.3	-214.1	-422.1
კრედიტი	482.5	586.2	489.3	556.6	757.3
დებეტი	-445.7	-644.4	-530.5	-770.7	-1,179.4
დ. მიმდინარე ტრანსფერტები	688.5	1,060.4	967.5	1,098.5	1,315.3
კრედიტი	768.5	1,142.0	1,038.5	1,183.4	1,445.1

	2007	2008	2009	2010	2011
დებიტი	-80.0	-81.7	-71.0	-85.0	-129.7
კაპიტალისა და ფინანსური ანგარიში	2,042.8	2,857.3	1,093.1	1,208.9	1,807.0
კაპიტალის ანგარიში	127.9	112.3	182.5	206.4	153.2
კრედიტი	128.3	112.4	182.6	206.6	153.5
დებიტი	-0.3	-0.1	-0.1	-0.2	-0.2
ფინანსური ანგარიში	1,914.9	2,745.0	910.6	1,002.5	1,653.8
ა. პირდაპირი ინვესტიციები	1,673.9	1,417.7	677.4	678.7	970.8
საზღვარგარეთ	-76.3	-146.6	18.5	-135.1	-146.6
საზღვარგარეთიდან	1,750.2	1,564.3	658.9	813.8	1,117.4
ბ. პორტფელის ინვესტიციები	21.1	623.2	10.5	250.5	133.2
აქტივები	-12.7	0.7	-1.1	-0.6	0.0
პასივები	33.7	622.5	11.7	251.1	133.2
გ. ფინანსური წარმოებულები	1.1	7.8	0.6	0.8	5.1
აქტივები	1.2	11.1	1.1	1.8	12.1
პასივები	-0.2	-3.3	-0.5	-1.0	-7.0
დ. სხვა ინვესტიციები	595.9	827.1	838.5	280.5	1,117.1
აქტივები	-204.7	-279.6	107.7	-419.2	199.3
პასივები	800.6	1,106.6	730.8	699.7	917.7
ე. სარეზერვო აქტივები	-377.0	-130.7	-616.4	-208.0	-572.4
წმინდა შეცდომები და გამოტოვებები	-33.4	-44.3	40.8	-20.5	-16.6
განსაკუთრებული დაფინანსება - სულ	80.0	783.8	-38.7	94.6	220.9

2.2 მიმდინარე ანგარიში

2.2.1 საქონელი


2007-2011 წლებში საგადასახდელო ბალანსში, საქონლის უარყოფითი სალდო ყველაზე მეტი 2008 წელს დაფიქსირდა, 3.8 მლრდ აშშ დოლარი. 2011

წელს კი, 2008 წელთან შედარებით 11.0 პროცენტით შემცირდა, ხოლო წინა წელთან შედარებით, 32.0 პროცენტით გაიზარდა და 3.4 მლრდ აშშ დოლარი შეადგინა.

ცხრილი 2.2.1 საქონლის ბალანსი

	ზომის ერთეული	2007	2008	2009	2010	2011
ექსპორტი (FOB)	მლნ აშშ დოლარი	2,088.3	2,428.0	1,893.6	2,462.2	3,254.5
იმპორტი (FOB)	მლნ აშშ დოლარი	-4,984.1	-6,264.2	-4,293.5	-5,048.5	-6,669.6
საეაფრო ბალანსი	მლნ აშშ დოლარი	-2,895.8	-3,836.2	-2,399.9	-2,586.3	-3,415.1
დეფიციტის ზრდა	%	43.4	32.5	-37.4	7.8	32.0
ექსპორტი წინა წელთან	%	125.3	116.3	78.0	130.0	132.2
იმპორტი წინა წელთან	%	135.2	125.7	68.5	117.6	132.1

დიაგრამა 1.1. საქონლის ანგარიში



საქონლით ვაჭრობაში 2007-2011 წლებში ექსპორტის და იმპორტის ყველაზე მაღალი მაჩვენებელი 2011 წელს აღინიშნა: იმპორტი - 6.7 მლრდ აშშ დოლარი, რაც 2010 წლის მაჩვენებელზე 32.1

პროცენტით მეტია, ხოლო ექსპორტი 3.2 მლრდ აშშ დოლარი, რაც წინა წლის მაჩვენებელზე 32.2 პროცენტით მეტია.

ცხრილი 2.2.2 მიმდინარე ანგარიში, საქონელი

(ათასი აშშ დოლარი)

	2007	2008	2009	2010	2011
საქონელი	-2,895,825.2	-3,836,195.6	-2,399,851.7	-2,586,291.7	-3,415,066.4
ექსპორტი	2,088,284.8	2,427,979.4	1,893,602.4	2,462,201.6	3,254,492.3
იმპორტი	-4,984,110.0	-6,264,175.0	-4,293,454.1	-5,048,493.2	-6,669,558.7
ზოგადი ვაჭრობა	-2,978,444.8	-3,955,124.0	-2,563,142.4	-2,762,886.0	-3,605,880.0
ექსპორტი	1,963,121.6	2,257,060.1	1,693,237.6	2,237,056.5	3,018,478.8
იმპორტი	-4,941,566.4	-6,212,184.1	-4,256,379.9	-4,999,942.5	-6,624,358.8
საქონელი გადამუშავებისათვის	4,528.7	9,690.3	16,771.1	19,674.1	7,715.0
გადამუშავება საზღვარგარეთ	-2,080.3	-1,648.0	109.2	-2,139.6	810.4
გადამუშავება საქართველოში	6,609.0	11,338.3	16,661.9	21,813.7	6,904.6
საქონლის რემონტი	-637.5	-4,689.4	355.3	18,661.5	-1,597.4
ექსპორტი	722.9	919.0	3,912.9	23,356.2	2,370.7
იმპორტი	-1,360.4	-5,608.3	-3,557.6	-4,694.7	-3,968.0
პორტებში შექნილი საქონელი	9,400.9	13,823.2	29,992.7	52,882.2	75,374.1
ექსპორტი	23,245.7	30,482.6	44,347.8	70,428.8	94,617.5
იმპორტი	-13,844.8	-16,659.4	-14,355.1	-17,546.6	-19,243.4
არამონეტარული ოქრო	69,327.4	100,104.3	116,171.6	85,376.6	109,321.9
ექსპორტი	69,391.7	100,111.7	116,189.3	85,788.3	109,890.0
იმპორტი	-64.3	-7.4	-17.7	-411.7	-568.0

უკანასკნელი 5 წლის განმავლობაში დეკლარირებული ექსპორტის ყველაზე მაღალი ზრდა, წინა წელთან შედარებით, 2010 წელს აღინიშნა და 48.0 პროცენტი ანუ 543.8 მლნ აშშ დოლარი შეადგინა. ხოლო 2011 წელს ექსპორტის ზრდა, წინა წელთან შედარებით, ასევე მაღალი იყო - 30.0 პროცენტი, 511.7 მლნ აშშ დოლარი. რაც შეეხება იმპორტს,

2011 წელს მისმა ზრდამ წინა წელთან შედარებით 34.3 პროცენტი ან 1.8 მლრდ აშშ დოლარი შეადგინა.

ბოლო ხუთი წლის განმავლობაში ექსპორტით იმპორტის გადაფარვის კოეფიციენტი ყველაზე მაღალი, 31.9 და 31.0 პროცენტი, 2010 და 2011 წლებში დაფიქსირდა.

ცხრილი 2.2.3 საგარეო ვაჭრობა, საქონელი

	2007	2008	2009	2010	2011
მლნ აშშ დოლარი					
ექსპორტი (FOB)	1,232.1	1,495.3	1,133.6	1,677.5	2,189.1
იმპორტი (CIF)	5,212.2	6,301.5	4,500.2	5,257.1	7,057.8
სავაჭრო ბალანსი	-3,980.0	-4,806.2	-3,366.6	-3,579.7	-4,868.6
სავაჭრო ბრუნვა	6,444.3	7,796.9	5,633.9	6,934.6	9,246.9
პროცენტი					
ექსპორტი წინა წელთან	131.6	121.4	75.8	148.0	130.5
იმპორტი წინა წელთან	141.8	120.9	71.4	116.8	134.3
ექსპორტით იმპორტის გადაფარვა	23.6	23.7	25.2	31.9	31.0

მონაცემთა წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური (საქსტატი), არ შეიცავს არაორგანიზებული ვაჭრობის მონაცემებს.

ექსპორტ-იმპორტის განაწილება ქვეყანათა ჯგუფების მიხედვით მოცემულია 2.2.4 და 2.2.5 ცხრილებში. 2011 წელს ყველაზე მაღალი, 54.1 პროცენტის ნილით ექსპორტში გამოიჩინა შავი ზღვის ეკონომიკური თანამშრომლობის ქვეყნები, სადაც ექსპორტი წინა წელთან შედარებით 31.9 პროცენტით გაიზარდა. რაც განაპირობა ძირითად პარტნიორ ქვეყნებში აზერბაიჯანში, თურქეთში, სომხეთსა და უკრაინაში განხორციელებულმა ექსპორტმა. ქვეყანათა ამ ოთხეულზე აღნიშნული ჯგუფის ექსპორტის 85.9 და 2011 წლის მთლიანი ექსპორტის 46.5 პროცენტი მოდის. იმპორტშიც, შავი ზღვის ეკონომიკური თანამშრომლების ქვეყნები - 50.3 პროცენტული ნილით პირველ ადგილზეა.

აქაც უდიდესი - 83.8 პროცენტის ნილით ძირითადი სავაჭრო პარტნიორი ქვეყნები: თურქეთი, უკრაინა, აზერბაიჯანი და რუსეთი ლიდერობს. ამასთან, ამ ოთხეულის ნილი 2011 წლის მთლიან იმპორტში 42.2 პროცენტს შეადგენს. იმპორტში, ქვეყანათა ჯგუფებს შორის მეორე ადგილზეა ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის ქვეყნები 48.0 პროცენტის ნილით. ამ ჯგუფში ჯამური 64.5 პროცენტის ნილით ქვეყანათა შემდეგი ოთხეული ლიდერობს: თურქეთი, გერმანია, აშშ, იტალია. ამ ოთხეულის ნილი მთლიან იმპორტშიც საკმაოდ მნიშვნელოვანია და 30.9 პროცენტს შეადგენს.

ცხრილი 2.2.4 საქონლის ექსპორტი (FOB) ქვეყნების ჯგუფების მიხედვით

(მლნ აშშ დოლარი)

ქვეყანათა ჯგუფი	2007	2008	2009	2010	2011	% ზრდა 2011/ 2010	% ნილი მთლიან ექსპორტში 2011
ევროკავშირის ქვეყნები	268.5	335.2	237.5	309.5	424.3	37.1	19.4
დსთ-ს ქვეყნები	461.9	540.9	416.2	676.7	1,052.7	55.6	48.1

ქვეყანათა ჯგუფი	2007	2008	2009	2010	2011	% ზრდა 2011/ 2010	% წილი მთლიან ექსპორტში 2011
შავი ზღვის ეკონომიკური თანამშრომლობის ქვეყნები	634.4	884.0	697.2	898.2	1,184.7	31.9	54.1
ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ქვეყნები	612.4	751.9	521.2	741.2	814.2	9.9	37.2

მონაცემთა წყარო: საქსტატი, არ შეიცავს არაორგანიზებული ვაჭრობის მონაცემებს.

ცხრილი 2.2.5 საქონლის იმპორტი (CIF) ქვეყნების ჯგუფების მიხედვით

(მლნ აშშ დოლარი)

ქვეყანათა ჯგუფი	2007	2008	2009	2010	2011	% ზრდა 2011/ 2010	% წილი მთლიან იმპორტში 2011
ევროკავშირის ქვეყნები	1,538.9	1,756.4	1,335.5	1,467.2	2,053.1	39.9	29.1
დსთ-ს ქვეყნები	1,849.4	1,998.0	1,298.3	1,587.6	1,941.6	22.3	27.5
შავი ზღვის ეკონომიკური თანამშ- რომლობის ქვეყნები	2,653.2	2,981.5	2,288.1	2,620.2	3,553.3	35.6	50.3
ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ქვეყნები	2,360.6	3,068.7	2,303.2	2,515.6	3,387.5	34.7	48.0

მონაცემთა წყარო: საქსტატი, არ შეიცავს არაორგანიზებული ვაჭრობის მონაცემებს.

2011 წელს საქართველოს საგარეო ვაჭრობის გეოგრაფიული არეალი, წინა წელთან შედარებით, გაფართოვდა. ექსპორტ-იმპორტი განხორციელდა 147 ქვეყანასთან, ნაცვლად 138 ქვეყნისა 2010 წელს. მათ შორის, 2011 წელს ექსპორტი განხორციელდა 107 ქვეყანაში, ხოლო იმპორტი - 135 ქვეყნიდან. პარტნიორი ქვეყნებიდან დადებითი სავაჭრო ბალანსი გვქონდა 32 ქვეყანასთან, ხოლო 115 ქვეყანასთან საგარეო ვაჭრობის უარყოფითი სალდო დაფიქსირდა. დადებითი სავაჭრო ბალანსის უმეტესი წილი - 80.6 პროცენტი, სამ ქვეყანაზე: კანადაზე, სომხეთსა და ყაზახეთზე მოდის. უარყოფითი სალდოს ნახევარზე მეტი (54.5 პროცენტი) შემდეგ 5 ქვეყანაზე მოდის: თურქეთი, უკრაინა, ჩინეთი, გერმანია და რუსეთი.

2011 წელს დეკლარირებული საგარეო ვაჭრობის დეფიციტი, წინა წელთან შედარებით, 36.0

პროცენტით გაიზარდა და 4.9 მლრდ აშშ დოლარი შეადგინა, ხოლო საგარეო სავაჭრო ბრუნვამ - 9.2 მლრდ აშშ დოლარი, რაც ბოლო 5 წლის განმავლობაში ყველაზე მაღალი მაჩვენებელია, ხოლო წინა წლის შესაბამის მაჩვენებელს 33.3 პროცენტით აღემატება. უნდა აღინიშნოს, რომ 2011 წელს, წინა წლის მსგავსად, საგარეო სავაჭრო ბრუნვის ნახევარზე მეტი (57.1 პროცენტი) შვიდ უმსხვილეს სავაჭრო პარტნიორზე (თურქეთი, აზერბაიჯანი, უკრაინა, ჩინეთი, გერმანია, რუსეთი და აშშ) მოდის, რომელთანაც საგარეო სავაჭრო ბრუნვამ 5.3 მლრდ აშშ დოლარი შეადგინა. 2011 წლის უმსხვილეს საგარეო სავაჭრო პარტნიორებს შორის პირველი და მეორე ადგილებზეა თურქეთი და აზერბაიჯანი, რომლებთან სავაჭრო ბრუნვამ, შესაბამისად, 1.5 და 1.0 მლრდ აშშ დოლარი შეადგინა, რაც მთლიანი ბრუნვის 16.2 და 11.2 პროცენტია.

ცხრილი 2.2.6 სავაჭრო ბრუნვა 2011 წლის ძირითადი პარტნიორი ქვეყნების მიხედვით (ექსპორტი FOB, იმპორტი CIF)

(მლნ აშშ დოლარი)

ქვეყანა	2007	2008	2009	2010	2011	% წილი ბრუნვაში, 2011
საგარეო სავაჭრო ბრუნვა, სულ	6,444.3	7,796.9	5,633.9	6,934.6	9,246.9	100.0
მათ შორის:						
თურქეთი	899.7	1,203.4	1,013.7	1,103.5	1,500.0	16.2
აზერბაიჯანი	519.8	811.3	575.8	740.8	1,036.7	11.2

ქვეყანა	2007	2008	2009	2010	2011	% წილი ბრუნვაში, 2011
უკრაინა	669.1	791.9	505.2	671.3	846.8	9.2
ჩინეთი	215.0	307.3	180.7	362.0	553.6	6.0
გერმანია	443.5	530.4	325.2	368.4	529.6	5.7
რუსეთი	619.2	453.1	312.8	325.2	426.3	4.6
აშშ	352.9	460.3	268.5	368.2	389.3	4.2
ბულგარეთი	243.4	232.3	235.1	198.5	349.2	3.8
სომხეთი	170.4	195.5	130.8	212.9	282.1	3.1
არაბთა გაერთიანებული საამიროები	233.4	288.1	127.1	187.6	266.4	2.9
დანარჩენი ქვეყნები	2,077.9	2,523.3	1,959.1	2,396.2	3,066.7	33.2

მონაცემთა წყარო: საქსტატი, არ შეიცავს არაორგანიზებული ვაჭრობის მონაცემებს.

ცხრილი 2.2.7 სავაჭრო ბალანსი 2011 წლის ძირითადი პარტნიორი ქვეყნების მიხედვით
(ექსპორტი FOB, იმპორტი CIF)

(მლნ აშშ დოლარი)

ქვეყანა	2007	2008	2009	2010	2011	% წილი ბალანსში, 2011
ბალანსი, სულ	-3,980.0	-4,806.2	-3,366.6	-3,579.7	-4,868.6	100.0
მათ შორის:						
თურქეთი	-556.1	-677.6	-562.1	-669.9	-1,044.8	21.5
უკრაინა	-480.7	-523.5	-337.3	-450.5	-564.3	11.6
ჩინეთი	-198.4	-289.3	-168.8	-308.4	-495.9	10.2
გერმანია	-331.2	-464.2	-279.1	-298.5	-431.5	8.9
რუსეთი	-528.5	-393.5	-270.5	-255.8	-353.1	7.3
არაბთა გაერთიანებული საამიროები	-196.1	-265.7	-93.7	-131.0	-186.3	3.8
აზერბაიჯანი	-244.9	-403.5	-244.5	-228.3	-184.9	3.8
იაპონია	-55.4	-119.5	-103.8	-162.3	-171.2	3.5
რუმინეთი	-82.7	-78.8	-102.9	-111.1	-168.5	3.5
ბულგარეთი	-124.7	-15.9	-70.5	-65.0	-161.9	3.3
დანარჩენი ქვეყნები	-1,181.3	-1,574.7	-1,133.4	-898.9	-1,106.1	22.7

მონაცემთა წყარო: საქსტატი, არ შეიცავს არაორგანიზებული ვაჭრობის მონაცემებს.

ცხრილი 2.2.8 ექსპორტი (FOB) 2011 წლის ძირითადი საქსპორტო პარტნიორი ქვეყნების მიხედვით
(მლნ აშშ დოლარი)

ქვეყანა	2007	2008	2009	2010	2011	% წილი ექსპორტში, 2011
ექსპორტი, სულ	1,232.1	1,495.3	1,133.6	1,677.5	2,189.1	100.0
მათ შორის:						
აზერბაიჯანი	137.5	203.9	165.6	256.2	425.9	19.5
თურქეთი	171.8	262.9	225.8	216.8	227.6	10.4
სომხეთი	110.8	123.4	88.9	166.8	223.0	10.2
ყაზახეთი	34.3	22.0	20.5	50.1	156.9	7.2
აშშ	149.0	102.2	36.9	187.2	143.5	6.6
უკრაინა	94.2	134.2	84.0	110.4	141.2	6.5
კანადა	70.6	131.8	117.2	118.7	114.8	5.2

ქვეყანა	2007	2008	2009	2010	2011	% წილი ექსპორტში, 2011
ბულგარეთი	59.4	108.2	82.3	66.8	93.7	4.3
იტალია	17.8	17.1	23.3	26.0	75.5	3.4
გერმანია	56.2	33.1	23.0	35.0	49.1	2.2
დანარჩენი ქვეყნები	330.6	356.4	266.1	443.5	538.0	24.6

მონაცემთა წყარო: საქსტატი, არ შეიცავს არაორგანიზებული ვაჭრობის მონაცემებს.

ცხრილი 2.2.9 იმპორტი (CIF) 2011 წლის ძირითადი საიმპორტო პარტნიორი ქვეყნების მიხედვით
(მლნ აშშ დოლარი)

ქვეყანა	2007	2008	2009	2010	2011	% წილი იმპორტში, 2011
იმპორტი, სულ	5,212.2	6,301.5	4,500.2	5,257.1	7,057.8	100.0
მათ შორის:						
თურქეთი	727.9	940.5	787.9	886.7	1,272.4	18.0
უკრაინა	574.9	657.7	421.2	560.9	705.6	10.0
აზერბაიჯანი	382.4	607.4	410.2	484.6	610.8	8.7
ჩინეთი	206.7	298.3	174.7	335.2	524.8	7.4
გერმანია	387.3	497.3	302.1	333.4	480.6	6.8
რუსეთი	573.9	423.3	291.6	290.5	389.7	5.5
ბულგარეთი	184.0	124.1	152.8	131.7	255.6	3.6
აშშ	203.9	358.1	231.6	181.0	245.8	3.5
არაბთა გაერთიანებული სამხრობები	214.7	276.9	110.4	159.3	226.4	3.2
რუმინეთი	90.2	92.4	115.1	140.8	188.3	2.7
დანარჩენი ქვეყნები	1,666.2	2,025.5	1,502.6	1,753.0	2,157.9	30.6

მონაცემთა წყარო: საქსტატი, არ შეიცავს არაორგანიზებული ვაჭრობის მონაცემებს.

საინტერესო სურათს იძლევა საქართველოს საგარეო ვაჭრობის სასაქონლო ჭრილში განხილვა. 2007-2011 წლებში საქართველოდან ექსპორტირებულ უმსხვილეს პროდუქციას ათეული თითქმის არ შეცვლილა, მათ შორისაა: ფეროშენადნობები, აზოტოვანი სასუქები, ახალი ან გამხმარი კაკალი, შავი ლითონების ნარჩენები და ჯართი, ოქრო, სპილენძის მადნები და კონცენტრატები.

ცხრილში 2.2.10 და დიაგრამაში 1.2 მოცემულია ძირითადი საექსპორტო საქონლის ათეული 2011 წლის მონაცემების მიხედვით.

პირველ პოზიციაზე მსუბუქი ავტომობილების ექსპორტი 20.6 პროცენტის წილით, რაც წინა წელთან შედარებით 7.0 პროცენტით და 222.9 მლნ დოლარით მეტია. ექსპორტის ასეთი მაღალი მაჩვენებელი განპირობებულია მეზობელ ქვეყნებში განხორციელებული მსუბუქი ავტომობილების რეექსპორტით. შემდეგია ფეროშენადნობების ექს-

პორტი, რომელიც ბოლო წლების განმავლობაში ლიდერობდა უმსხვილეს საექსპორტო პროდუქციას შორის, ხოლო 2011 წელს იგი 11.6 პროცენტული წილით მეორე ადგილზეა. შემდეგ პოზიციაზე 6.6 პროცენტული წილით და 144.1 მლნ აშშ დოლარით არის აზოტოვანი სასუქები. შემდეგია ახალი ან გამხმარი თხილი, რომლის წილიც 2011 წლის მთლიან ექსპორტში 5.9 პროცენტს და 130.1 მლნ დოლარს შეადგენს. საექსპორტო ათეულში გვხვდება აგრეთვე, შავი ლითონების ნარჩენები და ჯართი - 5.3 პროცენტი, დაუმუშავებული ან ნახევრადამუშავებული ოქრო - 5.0 პროცენტი, სპილენძის მადნები და კონცენტრატები - 3.9 პროცენტი, სპირტიანი სასმელები - 3.1 პროცენტი, წნელები ნახშირბადიანი ფოლადისგან - 2.8 პროცენტი და ყურძნის ღვინოები - 2.5 პროცენტი. პროდუქციის ამ ათეულმა 2011 წლის მთლიანი ექსპორტის 67.3 პროცენტი შეადგინა.


ცხრილი 2.2.10 ძირითადი საექსპორტო სასაქონლო ჯგუფები 2011 წელს

(მლნ აშშ დოლარი)

საქ-კოდი	საქონლის დასახელება	2007	2008	2009	2010	2011	% წილი ექსპორტში, 2011
	ექსპორტი, სულ	1,232.1	1,495.3	1,133.6	1,677.5	2,189.1	100.0
	მათ შორის:						
8703	მსუბუქი ავტომობილები	70.2	113.3	78.5	227.4	450.3	20.6
7202	ფეროშენადნობები	159.6	267.2	130.1	264.0	254.9	11.6
3102	სასუქები აზოტოვანი	57.0	105.5	60.2	84.2	144.1	6.6
0802	თხილი და კაკალი	65.1	31.7	70.0	75.1	130.1	5.9
7204	ნარჩენები და ჯართი შავი ლითონების	96.9	128.5	63.6	109.4	116.8	5.3
7108	ოქრო დაუმუშავებელი ან ნახევრადამუშავებული	69.4	100.1	116.2	117.6	109.9	5.0
2603	მადნები და კონცენტრატები სპილენძის	79.2	118.3	61.9	74.5	85.1	3.9
2208	ეთილის სპირტი, სპირტიანი სასმელები	57.4	59.0	54.0	55.7	67.9	3.1
7214	წნელები ნახშირბადიანი ფოლადისაგან	0.2	9.4	2.5	36.2	61.0	2.8
2204	ყურძნის ნატურალური ღვინოები	29.2	36.9	32.0	41.1	54.1	2.5
	დანარჩენი პროდუქცია, სულ	547.8	525.3	464.7	592.2	714.9	32.7

მონაცემთა წყარო: საქსტატი, არ შეიცავს არაორგანიზებული ვაჭრობის მონაცემებს.

ღიპბრამა 1.2 ძირითადი საექსპორტო სასაქონლო ჯგუფები 2011 წელს, (%)



2011 წლის უმსხვილეს საიმპორტო ათეულში, ტრადიციულად მნიშვნელოვანი უპირატესობით, პირველ ადგილზეა ნავთობი და ნავთობპროდუქტები 12.9 პროცენტული წილით. მეორე ადგილზე 7.2 პროცენტიანი წილით მსუბუქი ავტომობილებია, რომლის უდიდესი ნაწილი, როგორც ექსპორტშიც ავლნიშნეთ, რეექსპორტისთვისაა განკუთვნილი. შემდეგ პოზიციებზეა: ნავთობის აირები (3.4 პროცენტი), სამკურნალო საშუალებები (2.9 პროცენტი), ხორბალი და მესლინი (2.6 პროცენტი), აპარატები ელექტრონული სატელეფონო ან სატელეგრაფო

სადენიანი კავშირებისთვის (1.9 პროცენტი), შავი ლითონის მეტალოკონსტრუქციები (1.4 პროცენტი), შაქარი (1.3 პროცენტი), სიგარები და სიგარეტები (1.2 პროცენტი), გამომთვლელი მანქანები და მათი ბლოკები (1.1 პროცენტი). პროდუქციათა ამ ათეულს 2011 წლის მთლიანი იმპორტის 35.9 პროცენტი ანუ 2.5 მილიარდი აშშ დოლარი უკავია.

ქვემოთ მოყვანილ ცხრილში მოცემულია 2011 წლის მიხედვით ძირითადი საიმპორტო სასაქონლო ჯგუფები.


ცხრილი 2.2.11 ძირითადი საიმპორტო სასაქონლო ჯგუფები 2011 წელს

(მლნ აშშ დოლარი)

საქ-კოდი	საქონლის დასახელება	2007	2008	2009	2010	2011	% წილი მთლიან იმპორტში, 2011
	იმპორტი, სულ	5,212.2	6,301.5	4,500.2	5,257.1	7,057.8	100.0
	მათ შორის:						
2710	ნავთობი და ნავთობპროდუქტები	556.3	762.5	555.3	696.9	911.0	12.9
8703	მსუბუქი ავტომობილები	369.7	706.8	304.0	401.7	510.5	7.2
2711	ნავთობის აირები და აირისებრი ნაშინწყალბადები	293.9	204.7	191.7	160.5	236.6	3.4
3004	სამკურნალო საშუალებები	144.0	189.9	180.3	191.9	201.4	2.9
1001	ხორბალი და მესლინი	139.2	108.9	105.5	174.2	184.2	2.6
8517	აპარატები ელექტრონული სატელეფონო ან სატელეგრაფო სადენიანი კავშირისთვის	28.9	49.5	78.6	111.3	133.7	1.9
7308	მეტალოკონსტრუქციები შავი ლითონისაგან და მათი ნაწილები	29.9	38.9	19.1	50.0	102.1	1.4
1701	შაქარი	90.5	66.0	50.4	74.2	89.7	1.3
2402	სიგარები და სიგარეტები	38.1	60.0	57.4	79.0	86.7	1.2
8471	გამომთვლელი მანქანები და მათი ბლოკები	78.0	92.8	37.9	49.7	75.9	1.1
	დანარჩენი პროდუქცია, სულ	3,443.7	4,021.6	2,920.0	3,267.8	4,525.9	64.1

მონაცემთა წყარო: საქსტატი, არ შეიცავს არაორგანიზებული ვაჭრობის მონაცემებს.

ღიარება 1.3 ძირითადი საიმპორტო სასაქონლო ჯგუფები 2011 წელს, (%)



2.2.2 მომსახურება

მომსახურების საგარეო სავაჭრო ბალანსი 2007-2011 წლებში დადებითი იყო. 2011 წელს, წინა წელთან შედარებით, მომსახურების ექსპორტი გაიზარდა 24.5 პროცენტით, ხოლო იმპორტი - 16.0

პროცენტით, რის შედეგადაც მომსახურების ბალანსი 2011 წელს 2010 წელთან შედარებით, 42.5 პროცენტით გაიზარდა და განვილი 5 წელიწადში ყველაზე მაღალ ნიშნულს 731.4 მლნ აშშ დოლარს მიაღწია, რაც მშპ-ის 5.1 პროცენტია.


ღიარება 2.1 მომსახურების დინამიკა, 2007-2011 წლები



მომსახურებით საგარეო ვაჭრობა მჭიდროდა დაკავშირებული საქონლით ვაჭრობასთან და სულ უფრო იზრდება მათი ურთიერთქმედება. საქონლის მიწოდება საერთაშორისო ბაზარზე საჭიროებს უფრო მეტ მომსახურებას, დაწყებული ბაზრის ანალიზით და დამთავრებული საქონლის ტრანსპორტირებითა და გაყიდვის შემდგომი მომსახურებით. განსაკუთრებით დიდია მომსახურების

როლი მეცნიერებათცვადი საქონლით ვაჭრობაში, რომელთათვის აუცილებელია გაყიდვის შემდგომი მომსახურება, როგორცაა საინფორმაციო და საკონსულტაციო მომსახურება. მომსახურების მოცულობა და ხარისხი, რომელიც განეულია საქონლის წარმოებასა და რეალიზაციაზე, თავის მხრივ, მნიშვნელოვნად განაპირობებს საგარეო ბაზარზე მის წარმატებას.

დიაგრამა 2.2 პროდუქციით ვაჭრობის დინამიკა, 2007-2011 წლები



2011 წელს მომსახურების ექსპორტმა 2.0 მილიარდი აშშ დოლარი შეადგინა, რაც საქონლის ექსპორტის 61.2 პროცენტია, ხოლო მომსახურების იმპორტმა - 1.3 მლრდ აშშ დოლარი, რაც ამ წლის საქონლის იმპორტის 18.9 პროცენტია.

მომსახურებით საგარეო ვაჭრობა ასევე მჭიდროდ ერწყმის კაპიტალის საერთაშორისო მოძრაობასა და მუშაკთა მოძრაობას. ისინი წარმოუდგენელია სატრანსპორტო, საბანკო, საინფორმაციო და სხვა მომსახურების გარეშე. თავის მხრივ, საქონლის, კაპიტალისა და სამუშაო ძალის საერთაშორისო ბაზრის განვითარება სტიმულს აძლევს მომსახურების საერთაშორისო ბაზრის განვითარებას.

2011 წელს მომსახურებით ვაჭრობის ბრუნვის 81.4 პროცენტი მოდის სატრანსპორტო მომსახურებასა და ტურიზმზე, 45.8 და 35.6 პროცენტი შესაბამისად.

მნიშვნელოვანი დადებითი სალდოთი გამოირჩე-

ვა ტურისტული მომსახურება, რომელიც 2011 წელს 731.8 მლნ აშშ დოლარს შეადგენს, რაც თითქმის მთლიანი მომსახურების ბალანსის ტოლია და 2010 წელთან შედარებით 59.0 პროცენტით მეტია, ხოლო 2007 წელთან შედარებით 3.5-ჯერ არის გაზრდილი.

2011 წელს მნიშვნელოვანი დადებითი ბალანსი ჰქონდა, ასევე, სატრანსპორტო მომსახურებას (106.4 მლნ აშშ დოლარი), სამთავრობო მომსახურებას (32.8 მლნ აშშ დოლარი), კავშირგაბმულობის მომსახურებას (19.6 მლნ აშშ დოლარი) და პირად, კულტურულ და გასართობ მომსახურებას (4.5 მლნ აშშ დოლარი), ხოლო უარყოფითი სალდოთი გამოირჩეოდა - სადაზღვევო მომსახურება (116.3 მლნ აშშ დოლარი), სხვა საქმიანი (-31.4 მლნ აშშ დოლარი), ფინანსური (8.4 მლნ აშშ დოლარი) და კომპიუტერული და საინფორმაციო მომსახურება (-6.3 მლნ აშშ დოლარი).

ცხრილი 2.2.21 მომსახურების ბალანსი 2007-2011 წლებში

(მლნ აშშ დოლარი)

	2007	2008	2009	2010	2011
მომსახურების ბალანსი, სულ	161.2	21.0	339.7	513.5	731.4
მათ შორის:					
სატრანსპორტო მომსახურება	4.2	-28.3	131.0	140.9	106.4
ტურისტული მომსახურება	208.0	243.2	294.4	460.2	731.8
კავშირგაბმულობის მომსახურება	3.1	10.5	14.5	15.5	19.6
სამშენებლო მომსახურება	-3.4	-15.6	-14.6	-0.1	2.2
სადაზღვევო მომსახურება	-97.8	-135.6	-92.6	-81.7	-116.3
ფინანსური მომსახურება	-3.0	-7.8	-3.9	2.4	-8.4
კომპიუტერული და საინფორმაციო მომს.	-0.4	-7.1	-1.5	0.7	-6.3
როიალტი და სალიცენზიო გადასახადი	5.8	-2.2	-1.1	-2.7	-3.4
სხვა საქმიანი მომსახურება	-14.6	-47.2	-14.4	-19.0	-31.4
პირადი, კულტურული და გასართობი მომსახურება	1.9	-8.9	3.5	1.8	4.5
სამთავრობო მომსახურება	57.4	20.0	24.4	-4.5	32.8

ცხრილი 2.2.22 მომსახურების ექსპორტი 2007-2011 წლებში

	2007	2008	2009	2010	2011	2011/ 2010	2011 სტრუქტურა
	მლნ აშშ დოლარი					პროცენტი	
მომსახურების ექსპორტი, სულ	1094.1	1260.5	1313.6	1598.8	1990.8	124.5	100.0
მათ შორის:							
სატრანსპორტო მომსახურება	511.5	613.6	621.9	695.1	796.8	114.6	40.0
ტურისტული მომსახურება	383.7	446.6	475.9	659.2	945.2	143.4	47.5
კავშირგაბმულობის მომსახურება	14.5	23.6	28.2	27.5	36.5	132.6	1.8
სამშენებლო მომსახურება	2.8	2.2	6.3	9.6	8.6	89.2	0.4
სადაზღვევო მომსახურება	13.0	15.1	15.4	38.4	21.1	54.9	1.1
ფინანსური მომსახურება	9.1	9.7	13.3	16.9	11.2	66.4	0.6
კომპიუტერული და საინფორმაციო მომს.	1.9	3.5	6.1	7.4	5.3	72.4	0.3
როიალტი და სალიცენზიო გადასახადი	10.6	6.2	7.5	4.7	4.6	96.4	0.2
სხვა საქმიანი მომსახურება	20.3	27.1	36.5	41.6	53.7	129.0	2.7
პირადი, კულტურული და გასართობი მომსახურება	8.7	8.9	14.1	13.7	15.7	114.9	0.8
სამთავრობო მომსახურება	118.0	103.8	88.6	84.6	92.2	108.9	4.6

ცხრილი 2.2.23 მომსახურების იმპორტი 2007-2011 წლებში

	2007	2008	2009	2010	2011	2011/ 2010	2011 სტრუქტურა
	მლნ აშშ დოლარი					პროცენტი	
მომსახურების იმპორტი, სულ	932.9	1239.4	973.9	1085.3	1259.3	116.0	100.0
მათ შორის:							
სატრანსპორტო მომსახურება	507.3	642.0	490.9	554.2	690.4	124.6	54.8
ტურისტული მომსახურება	175.8	203.5	181.5	199.1	213.4	107.2	16.9
კავშირგაბმულობის მომსახურება	11.4	13.1	13.7	12.1	16.9	140.5	1.3
სამშენებლო მომსახურება	6.2	17.8	20.9	9.7	6.4	65.6	0.5

	2007	2008	2009	2010	2011	2011/ 2010	2011 სტრუქტურა
	მლნ აშშ დოლარი					პროცენტი	
სადაზღვევო მომსახურება	110.8	150.7	108.0	120.1	137.3	114.4	10.9
ფინანსური მომსახურება	12.2	17.4	17.2	14.6	19.7	135.1	1.6
კომპიუტერული და საინფორმაციო მომს.	2.3	10.6	7.6	6.6	11.6	174.9	0.9
როიალტი და სალიცენზიო გადასახადი	4.9	8.4	8.6	7.4	8.0	107.5	0.6
სხვა საკმიანი მომსახურება	34.9	74.2	50.8	60.7	85.1	140.2	6.8
პირადი, კულტურული და გასართობი მომსახურება	6.7	17.9	10.5	11.8	11.2	94.7	0.9
სამთავრობო მომსახურება	60.6	83.8	64.2	89.2	59.4	66.6	4.7

სატრანსპორტო მომსახურება მომსახურების ხურების ექსპორტი 2011 წელს 796.8 მლნ აშშ უმსხვილესი დარგია, რომელსაც 2011 წელს დოლარს (2010 წელთან შედარებით 14.6 პროცენტით გაიზარდა), ხოლო იმპორტი - 690.4 მლნ ნახევარი ეკავა (ექსპორტის 40.0 პროცენტი და იმპორტის 54.8 პროცენტი). სატრანსპორტო მომსახურების ექსპორტი 2011 წელს 796.8 მლნ აშშ დოლარს (გაიზარდა 24.6 პროცენტით) შეადგენდა.

ცხრილი 2.2.24 სატრანსპორტო მომსახურების ფუნქციონალური სტრუქტურა 2007-2011 წლებში

	2007	2008	2009	2010	2011	2011/ 2010	2011 სტრუქტურა
	მლნ აშშ დოლარი					პროცენტი	
იმპორტი	507.3	642.0	490.9	554.2	690.4	124.6	100.0
მგზავრები	101.1	134.3	130.3	129.6	170.7	131.7	24.7
ფრახტი	381.3	480.6	336.9	393.6	489.1	124.3	70.8
დამხმარე და სხვა მომსახურება	24.9	27.1	23.7	31.0	30.6	98.7	4.4
ექსპორტი	511.5	613.6	621.9	695.1	796.8	114.6	100.0
მგზავრები	56.0	57.9	61.4	78.0	114.5	146.7	14.4
ფრახტი	307.5	430.1	437.5	458.3	487.4	106.4	61.2
დამხმარე და სხვა მომსახურება	147.9	125.7	123.0	158.8	194.9	122.7	24.5
ბალანსი	4.2	-28.3	131.0	140.9	106.4	75.5	
მგზავრები	-45.1	-76.5	-68.8	-51.5	-56.2	109.0	
ფრახტი	-73.8	-50.5	100.6	64.7	-1.7	-2.6	
დამხმარე და სხვა მომსახურება	123.0	98.6	99.3	127.8	164.3	128.5	

სატრანსპორტო მომსახურების სტრუქტურაში ში, წინა წელთან შედარებით, სატვირთო გადაზიდვითადი ადგილი ფრახტს უჭირავს. მისი წილი ექსპორტის 6.4 პროცენტითა და იმპორტის 24.3 პროცენტით ზრდის შედეგად ფრახტის ბალანსი 2.6 პროცენტით შემცირდა.

ცხრილი 2.2.25 სატრანსპორტო მომსახურება სატრანსპორტო საშუალებების სახეების მიხედვით 2007-2011 წლებში

	2007	2008	2009	2010	2011	2011/ 2010	2011 სტრუქტურა
	მლნ აშშ დოლარი					პროცენტი	
ექსპორტი	511.5	613.6	621.9	695.1	796.8	114.6	100.0
საზღვაო ტრანსპორტი	109.7	84.5	83.9	111.8	140.2	125.4	17.6
საჰაერო ტრანსპორტი	83.5	83.0	81.5	101.6	148.1	145.8	18.6

	2007	2008	2009	2010	2011	2011/ 2010	2011 სტრუქტურა
	მლნ აშშ დოლარი					პროცენტი	
სარკინიგზო ტრანსპორტი	110.7	120.4	105.3	122.7	156.2	127.3	19.6
საავტომობილო ტრანსპორტი	40.6	57.0	62.1	72.9	74.6	102.3	9.4
მილსადენი	167.0	268.8	289.1	286.1	277.6	97.0	34.8
იმპორტი	507.3	642.0	490.9	554.2	690.4	124.6	100.0
საზღვაო ტრანსპორტი	146.6	181.4	129.4	155.1	233.7	150.7	33.9
საჰაერო ტრანსპორტი	131.2	158.8	128.7	131.9	154.4	117.1	22.4
სარკინიგზო ტრანსპორტი	66.2	83.1	38.8	48.7	63.6	130.6	9.2
საავტომობილო ტრანსპორტი	163.4	218.7	194.0	218.5	238.7	109.2	34.6
მილსადენი	-	-	-	-	-	-	-

2011 წელს სატრანსპორტო მომსახურების ექსპორტში ყველაზე მაღალი იყო მილსადენების წილი (34.8 პროცენტი), რომელიც 2010 წელთან შედარებით, 8.5 მლნ აშშ დოლარით (3.0 პროცენტით) შემცირდა. სარკინიგზო ტრანსპორტით მიღებული შემოსავლები, რომელიც ძირითადად სატრანზიტო გადაზიდვებზე მოდის, 2011 წელს, წინა წელთან შედარებით, 27.3 პროცენტით გაიზარდა და სატრანსპორტო შემოსავლების 19.6 პროცენტი უზრუნველყო. 2011 წელს სატრანსპორტო მომსახურების ექსპორტის მოცულობით მესამე ადგილზეა საჰაერო ტრანსპორტი, რომელიც წინა წელთან შედარებით 45.8 პროცენტით გაიზარდა. 2011 წელს, 2010 წელთან შედარებით, საზღვაო ტრანსპორტით მომსახურების ექსპორტი გაიზარდა 25.4 პროცენტით და 140.2 მლნ აშშ დოლარი შეადგინა (რომლის 95.2 პროცენტს დამხმარე სატრანსპორტო მომსახურება შეადგენს). 2011 წელს საავტომობილო ტრანსპორ-

ტის ხვედრითი წილი სატრანსპორტო მომსახურების ექსპორტში ყველაზე მოკრძალებულია და 9.4 პროცენტს შეადგენს.

სატრანსპორტო მომსახურების იმპორტი 2011 წელს, 2010 წელთან შედარებით, ყველა სატრანსპორტო საშუალების მიხედვით გაიზარდა. 2011 წელს ყველაზე მაღალი ხვედრითი წილით წარმოდგენილი საავტომობილო (34.6 პროცენტი) და საზღვაო ტრანსპორტის (33.9 პროცენტი) მომსახურების იმპორტი წინა წელთან შედარებით შესაბამისად 9.2 პროცენტითა და 50.7 პროცენტით გაიზარდა. საჰაერო ტრანსპორტით მომსახურების იმპორტი 2011 წელს, 2010 წელთან შედარებით, 17.1 პროცენტით გაიზარდა და სატრანსპორტო მომსახურების იმპორტში 22.4 პროცენტით მესამე ადგილზეა. მიუხედავად იმისა, რომ 30.6 პროცენტით გაიზარდა სარკინიგზო ტრანსპორტით მომსახურების იმპორტი, მისი წილი (9.2 პროცენტი) 2011 წელს კვლავ დაბალია.

ცხრილი 2.2.26 ტურისტული მომსახურება 2007-2011 წლებში


	2007	2008	2009	2010	2011	2011/ 2010	2011 სტრუქტურა
	მლნ აშშ დოლარი					პროცენტი	
ექსპორტი	383.7	446.6	475.9	659.2	945.2	143.4	100.0
საქმიანი	210.2	257.8	259.2	316.5	378.2	119.5	40.0
პირადი	173.5	188.9	216.7	342.8	567.0	165.4	60.0
იმპორტი	175.8	203.5	181.5	199.1	213.4	107.2	100.0
საქმიანი	115.9	147.5	128.9	129.9	141.8	109.2	66.5
პირადი	59.9	55.9	52.6	69.2	71.6	103.5	33.5
ბალანსი	208.0	243.2	294.4	460.2	731.8	159.0	100.0
საქმიანი	94.3	110.2	130.3	186.5	236.4	126.7	32.3
პირადი	113.7	132.9	164.1	273.6	495.4	181.0	67.7

2007-2011 წლებში მომსახურების ბალანსის სიდიდეს, ძირითადად, ტურისტული მომსახურება განაპირობებდა. ტურიზმის ექსპორტი 2011 წელს, 2010 წელთან შედარებით, 43.4 პროცენტით გაიზარდა და მისი წილი მომსახურების ექსპორტში 47.5 პროცენტს გაუტოლდა, ხოლო იმპორტი 7.2 პროცენტით გაიზარდა და წილი მომსახურების იმპორტში 16.9 პროცენტით განისაზღვრა. 2011 წელს ტურიზმის ბალანსში პირადი ტურიზმის წილი ჭარბობს საქმიანი ტურიზმის წილს და 67.7 პროცენტს შეადგენს.

2.2.3 შემოსავლები

2011 წლის განმავლობაში შემოსავლების ანგარიშის ბალანსმა ნომინალურ გამოსახულებაში -422.1 მლნ აშშ დოლარი შეადგინა, რაც მშპ-ს -2.9 პროცენტია. ამის მიზეზი გასულ წლებში გაზრდილი უცხოური ინვესტიციების შემოდინება იყო. უცხოური კაპიტალის სახით ვალდებულებების ზრდასთან ერთად, გაიზარდა ამ კაპიტალის მომსახურების ხარჯებიც.

დიაგრამა 2.3 შემოსავლის დინამიკა, 2007-2011 წწ.



2011 წლის განმავლობაში 36.1 პროცენტით გაიზარდა მიღებული შემოსავლები და 757.3 მლნ აშშ დოლარი შეადგინა. მიღებული შემოსავლების ძირითად წყაროს კვლავაც მუშაკთა შრომის ანაზღაურება წარმოადგენდა. 2011 წელს მუშაკთა შრომის ანაზღაურება 509.6 მლნ აშშ დოლარი იყო, რაც მიღებული შემოსავლების 67.3 პროცენ-

ტია. წინა წლის მაჩვენებელთან შედარებით მუშაკთა შრომის ანაზღაურება 33.7 პროცენტით გაიზარდა. მიღებული შემოსავლების 32.7 პროცენტი, საზღვარგარეთ განხორციელებული ინვესტიციებიდან მიღებულ შემოსავალზე მოდის. აღნიშნული კომპონენტი 2011 წელს წინა წელთან შედარებით 41.2 პროცენტით გაიზარდა.

ცხრილი 2.2.31 მიღებული შემოსავლების მოცულობა და სტრუქტურა, 2007-2011 წწ.

	შემოსავლის შემოდინება (მლნ აშშ დოლარი)					შემოსავლის სტრუქტურა (%)					2011/ 2010 (%)
	2007	2008	2009	2010	2011	2007	2008	2009	2010	2011	
სულ	482.5	586.2	489.3	556.6	757.3	100.0	100.0	100.0	100.0	100.0	136.1
მუშაკთა შრომის ანაზღაურება	405.6	419.2	391.5	381.2	509.6	84.1	71.5	80.0	68.5	67.3	133.7
საინვესტიციო შემოსავალი	76.9	167.1	97.7	175.4	247.6	15.9	28.5	20.0	31.5	32.7	141.2
პირდაპირი ინვესტიციები	0.0	97.6	66.7	150.4	209.6	0.0	16.7	13.6	27.0	27.7	139.4
პორტფელის ინვესტიციები	24.2	28.4	16.9	9.7	15.0	5.0	4.8	3.5	1.7	2.0	153.8
სხვა ინვესტიციები	52.7	41.0	14.1	15.3	23.1	10.9	7.0	2.9	2.8	3.0	150.5
ეროვნული ბანკი	35.7	20.2	3.5	4.2	4.6	7.4	3.4	0.7	0.8	0.6	109.4
სამთავრობო სექტორი	0.0	3.9	0.1	0.0	0.0	0.0	0.7	0.0	0.0	0.0	0.0
ბანკები	11.2	12.8	6.4	5.9	11.6	2.3	2.2	1.3	1.1	1.5	195.5
სხვა სექტორები	5.9	4.2	4.1	5.2	6.8	1.2	0.7	0.8	0.9	0.9	132.1

შემოსავლების დებეტი 2011 წელს 1.2 მლრდ აშშ დოლარს გაუტოლდა, რაც წინა წელს დაფიქსირებულ მაჩვენებელზე 53.0 პროცენტით მეტია. შემოსავლების გადინება ძირითადად საინვესტიციო შემოსავლების ხარჯზე მოდის. საქართველოში განხორციელებულ ინვესტიციებზე დარიცხულმა შემოსავალმა, 2011 წელს 1.1 მლრდ აშშ დოლარი შეადგინა, რაც წინა წლის შესაბამის მაჩვენებელზე 53.6 პროცენტით მეტია. საინვესტიციო შემოსავლების მნიშვნელოვანი ნაწილი პირდაპირი ინვესტიციებისათვის გადახდილი დივიდენდებისა და რეინვესტირებული შემოსავლებისგან შედგება, დაახლოებით 805.3 მლნ აშშ დოლარი. წინა წლის მსგავსად, 2011 წელს საგრძობლად გაიზარდა საქართველოში განხორციელებულ პორტფელურ ინვესტიციებზე გადახდილი შემოსავლები და მან 76,8 მლნ აშშ დოლარი შეადგინა, რაც წინა წელთან შედარებით 42.1 პროცენტით მეტია. დანარ-

ჩენი 227.2 მლნ აშშ დოლარი კი სხვა ინვესტიციებზე მოდის. სამთავრობო სექტორის მიერ აღებულ სესხებზე გადახდილმა პროცენტმა 38.7 მლნ აშშ დოლარი შეადგინა, რაც წინა წლის მაჩვენებელს 28.2 პროცენტით აღემატება. 15.6 პროცენტით იმატა საბანკო სექტორის მიერ მოზიდულ სესხებზე გადახდილმა პროცენტმა და წლის განმავლობაში 119.5 მლნ აშშ დოლარი შეადგინა. წლის განმავლობაში სხვა სექტორების მიერ სესხებზე პროცენტის სახით დაახლოებით 58.4 მლნ აშშ დოლარის გადახდა დაფიქსირდა, რაც წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელს 6.1 პროცენტით აღემატება. შემოსავლების გადინების მუხლში, შემოდინების ანალოგიურ მუხლთან შედარებით, მცირეა უცხო ქვეყნის რეზიდენტებისათვის გადახდილი შრომის ანაზღაურება. 2011 წელს არარეზიდენტებისათვის გადახდილი შრომის ანაზღაურება დაახლოებით 70.1 მლნ აშშ დოლარი იყო.

ცხრილი 2.2.32 შემოსავლების დებეტის მოცულობა და სტრუქტურა, 2007-2011 წწ.

	შემოსავლის გადინება (მლნ აშშ დოლარი)					შემოსავლის სტრუქტურა (%)					2011/ 2010 (%)
	2007	2008	2009	2010	2011	2007	2008	2009	2010	2011	
სულ	-445.7	-644.4	-530.5	-770.7	-1179.4	100.0	100.0	100.0	100.0	100.0	153.0
მუშაკთა შრომის ანაზღაურება	-26.4	-44.2	-30.1	-48.7	-70.1	5.9	6.9	5.7	6.3	5.9	143.9
საინვესტიციო შემოსავალი	-419.4	-600.3	-500.5	-722.0	-1109.3	94.1	93.1	94.3	93.7	94.1	153.6
პირდაპირი ინვესტიციები	-297.6	-358.4	-261.8	-470.2	-805.3	66.8	55.6	49.3	61.0	68.3	171.3
პორტფელის ინვესტიციები	-1.2	-29.5	-38.1	-54.0	-76.8	0.3	4.6	7.2	7.0	6.5	142.1


	შემოსავლის გადინება (მლნ აშშ დოლარი)					შემოსავლის სტრუქტურა (%)					2011/ 2010 (%)
	2007	2008	2009	2010	2011	2007	2008	2009	2010	2011	
სხვა ინვესტიციები	-120.6	-212.3	-200.6	-197.8	-227.2	27.1	32.9	37.8	25.7	19.3	114.9
ეროვნული ბანკი	-1.3	-2.6	-6.9	-9.1	-10.5	0.3	0.4	1.3	1.2	0.9	115.6
სამთავრობო სექტორი	-25.6	-25.9	-25.0	-30.2	-38.7	5.7	4.0	4.7	3.9	3.3	128.2
ბანკები	-71.0	-132.8	-115.0	-103.4	-119.5	15.9	20.6	21.7	13.4	10.1	115.6
სხვა სექტორები	-22.7	-51.0	-53.7	-55.0	-58.4	5.1	7.9	10.1	7.1	5.0	106.1

2.2.4 მიმდინარე ტრანსფერტები

მიმდინარე ტრანსფერტების ბალანსმა 2011 წელს 1.3 მლრდ აშშ დოლარს მიაღწია, რაც 216.9 მლნ დოლარით, ანუ 19.7 პროცენტით მეტია წინა წლის შესაბამის მაჩვენებელზე. საანგარიშო წელს

0.2 პროცენტული პუნქტით შემცირდა მიმდინარე ტრანსფერტების ბალანსის მშპ-თან შეფარდება. თუ 2010 წელს აღნიშნული მაჩვენებელი 9.4 პროცენტი იყო, 2011 წელს მან 9.2 პროცენტი შეადგინა.

ღიბრამა 2.4 მიმდინარე ტრანსფერტების დინამიკა, 2007-2011 წწ.



ტრანსფერტების შემოდინება 2011 წელს 1.4 მლრდ აშშ დოლარი იყო, რაც წინა წლის მაჩვენებელს 22.1 პროცენტით აღემატება. მიღებული ტრანსფერტების უმეტესი წილი ძირითადად სხვა სექტორებზე მოდის. მუშაკთა ფულადმა გზავნილებმა 608.0 მლნ აშშ დოლარი, ხოლო სხვა ტრანსფერტებმა 582.5 მლნ აშშ დოლარი შეადგინა. სამთავრობათაშორისო გრანტებისა და სხვადასხვა სახის ტექნიკური თუ ჰუმანიტარული დახმარე-

ბების სახით საქართველოს მთავრობამ 2011 წელს, წინა წელთან შედარებით 9.6 პროცენტით მეტი, ანუ 254.6 მლნ აშშ დოლარის ტრანსფერტი მიიღო. კვლავაც, შედარებით მცირე იყო საქართველოდან გაცემული ტრანსფერტების მოცულობა, 129.7 მლნ აშშ დოლარი. ეს თანხა ძირითადად საქართველოს რეზიდენტების მიერ სხვა ქვეყნებისათვის გადახდილი გადასახადებისაგან შედგება, რაც ჯამში 114.6 მლნ აშშ დოლარია.

ცხრილი 2.2.41 მიმდინარე ტრანსფერტების მოცულობა და სტრუქტურა, 2007-2011 წწ.

	მოცულობა (მლნ აშშ დოლარი)					სტრუქტურა (%)					2011/2010 (%)
	2007	2008	2009	2010	2011	2007	2008	2009	2010	2011	
ტრანსფერტების შემოდინება	768.5	1,142.0	1,038.5	1,183.4	1,445.1	100.0	100.0	100.0	100.0	100.0	122.1
სამთავრობო სექტორი	207.0	429.3	200.2	232.4	254.6	26.9	37.6	19.3	19.6	17.6	109.6
სხვა სექტორები	561.4	712.8	838.3	951.1	1,190.5	73.1	62.4	80.7	80.4	82.4	125.2
მუშაკთა გზავნილები	245.0	305.1	317.4	416.6	608.0	31.9	26.7	30.6	35.2	42.1	145.9
სხვა ტრანსფერტები	316.4	407.6	520.9	534.5	582.5	41.2	35.7	50.2	45.2	40.3	109.0
ტრანსფერტების გადინება	-80.0	-81.7	-71.0	-85.0	-129.7	100.0	100.0	100.0	100.0	100.0	152.7
სამთავრობო სექტორი	-68.5	-64.3	-59.3	-58.0	-114.6	85.7	78.7	83.5	68.3	88.3	197.4
სხვა სექტორები	-11.5	-17.4	-11.7	-26.9	-15.2	14.3	21.3	16.5	31.7	11.7	56.3
მუშაკთა გზავნილები	-1.7	-2.4	-1.5	-1.3	-0.8	2.1	3.0	2.1	1.5	0.7	64.7
სხვა ტრანსფერტები	-9.8	-15.0	-10.2	-25.6	-14.3	12.2	18.3	14.4	30.2	11.0	55.9

შემოსავლებისა და ტრანსფერტების ანალიზის კუთხით საინტერესოა, აგრეთვე, საქართველოში სწრაფი ფულადი გზავნილების დინამიკა. ეს კატეგორია მოიცავს როგორც მუშაკთა ფულად გზავნილებს, ასევე მუშაკთა შრომის ანაზღაურებას. სწრაფი ფულადი გზავნილებით საქართველოში ფულის ჩარიცხვებმა 2011 წელს 1.3 მლრდ აშშ დოლარი შეადგინა. წინა წელთან შედარებით საანგარიშო წელს ჩარიცხვები 20.5 პროცენტით გაიზარდა. სწრაფი ფულადი გზავნილებით თანხის გადმორიცხვა ძირითადად რუსეთის ფედერაციიდან, საბერძნეთიდან, იტალიიდან, აშშ-დან და უკრაინიდან ხდებოდა. ამ ქვეყნებზე მთელი ჩარიცხვების 81.8 პროცენტი მოდის. წინა წელთან შედარებით, სწრაფი ფულადი გზავნილებით თანხის ჩარიცხვები გაიზარდა თითქმის ყველა პარტნიორი ქვეყნის მიხედვით. განსაკუთრებით მაღალი ზრდა დაფიქსირდა: ყაზახეთიდან (2.7-ჯერ), იტალიიდან (42.3 პროცენტი), საბერძნეთიდან (39.3 პროცენტი), ისრაელიდან (20.0 პროცენტი), რუსეთის ფედერაციიდან (17.9 პროცენტი) და ესპანეთიდან (13.4 პროცენტი) განხორციელებულ სწრაფ ფულად

გზავნილებზე, ხოლო თურქეთიდან, გერმანიიდან და უკრაინიდან ელექტრონულად გადმორიცხულმა თანხებმა შესაბამისად 17.8 პროცენტით, 12.1 პროცენტით და 11.1 პროცენტით მოიკლო.

შედარებით პატარა მოცულობის იყო საქართველოდან სწრაფი ფულადი გზავნილებით თანხის გადმორიცხვები. 2011 წელს ეს მაჩვენებელი 100.3 მლნ აშშ დოლარი იყო, რაც 3.0 პროცენტით ნაკლებია წინა წლის მაჩვენებელთან შედარებით. საქართველოდან ყველაზე მსხვილი მასშტაბით გადმორიცხვები რუსეთის ფედერაციაში მიდის, მთლიანი გადმორიცხვების 32.4 პროცენტი. 2011 წელს გადმორიცხვები შემცირდა ყაზახეთის (38.7 პროცენტი), უზბეკეთის (36.3 პროცენტი) საბერძნეთის (26.7 პროცენტი), თურქეთის (15.6 პროცენტი), აშშ-ს (3.4 პროცენტი) მიმართულებით. საპირისპიროდ, საანგარიშო წელს გაიზარდა ფულადი გადმორიცხვები გერმანიის (34.2 პროცენტი), სომხეთის (30.0 პროცენტი), უკრაინის (14.5 პროცენტი) და აზერბაიჯანის (4.4 პროცენტი) მიმართულებით.

ცხრილი 2.2.42 სწრაფი ფულაფი გზავნილების მოცულობა და სტრუქტურა, 2007-2011 წწ.

	მოცულობა (მლნ აშშ დოლარი)					სტრუქტურა (%)					2011/ 2010 (%)
	2007	2008	2009	2010	2011	2007	2008	2009	2010	2011	
ჩარიცხვა, სულ	866.1	1,002.1	841.8	1,052.2	1,268.1	100.0	100.0	100.0	100.0	100.0	120.5
რუსეთი	544.6	633.9	450.4	555.6	655.2	62.9	63.3	53.5	52.8	51.7	117.9
საბერძნეთი	26.0	47.2	60.4	103.8	144.6	3.0	4.7	7.2	9.9	11.4	139.3
იტალია	24.0	36.6	46.3	76.7	109.2	2.8	3.7	5.5	7.3	8.6	142.3
აშშ	115.7	63.9	68.1	75.3	75.3	13.4	6.4	8.1	7.2	5.9	100.1
უკრაინა	19.8	70.5	65.1	59.0	52.4	2.3	7.0	7.7	5.6	4.1	88.9
ესპანეთი	29.3	20.4	21.3	27.3	31.0	3.4	2.0	2.5	2.6	2.4	113.4
თურქეთი	17.4	20.9	25.9	33.6	27.6	2.0	2.1	3.1	3.2	2.2	82.2
ყაზახეთი	11.3	10.4	7.8	9.9	26.2	1.3	1.0	0.9	0.9	2.1	265.4
ისრაელი	7.1	8.4	9.0	12.0	14.4	0.8	0.8	1.1	1.1	1.1	120.3
გერმანია	6.4	7.2	10.5	14.7	13.0	0.7	0.7	1.2	1.4	1.0	87.9
დანარჩენი ქვეყნები	64.5	82.7	77.0	84.3	119.1	7.4	8.3	9.1	8.0	9.4	141.3
გადარიცხვა, სულ	109.0	82.7	73.5	103.3	100.3	100.0	100.0	100.0	100.0	100.0	97.0
რუსეთი	59.0	36.2	32.3	32.2	32.5	54.1	43.8	44.0	31.2	32.4	100.7
უკრაინა	13.8	13.5	12.5	17.0	19.5	12.7	16.3	17.0	16.5	19.4	114.5
საბერძნეთი	0.9	2.0	1.5	15.4	11.3	0.8	2.4	2.0	14.9	11.3	73.3
თურქეთი	4.3	5.0	5.2	4.3	3.6	3.9	6.0	7.1	4.1	3.6	84.4
გერმანია	2.6	2.7	2.4	1.8	2.5	2.4	3.3	3.3	1.8	2.5	134.2
აზერბაიჯანი	4.2	2.4	1.9	2.2	2.3	3.9	2.9	2.6	2.1	2.2	104.4
უზბეკეთი	1.3	0.9	0.5	3.5	2.2	1.2	1.1	0.7	3.4	2.2	63.7
სომხეთი	1.3	2.0	1.3	1.6	2.1	1.2	2.4	1.8	1.5	2.0	130.0
აშშ	2.2	3.1	2.7	2.0	1.9	2.0	3.7	3.7	1.9	1.9	96.6
ყაზახეთი	1.0	1.1	0.8	1.9	1.1	0.9	1.3	1.0	1.8	1.1	61.3
დანარჩენი ქვეყნები	18.4	13.8	12.4	21.4	21.3	16.9	16.7	16.8	20.8	21.3	99.4

2.3 კაპიტალისა და ფინანსური ანგარიში


2.3.1 კაპიტალური ტრანსფერტები

კაპიტალური ტრანსფერტების მოცულობა, რომელსაც მნიშვნელოვანი წილი ეჭირა მიმდინარე ანგარიშის დეფიციტის დაფინანსებაში, დაწყებული 2002 წლიდან, განუზრელად იზრდებოდა. თუმცა, 2006 წელს ნახტომისებური ზრდის შემდგომ, რაც თავის მხრივ გამოწვეული იყო ვალის პატივებით, აღნიშნული ტენდენცია შეიცვალა, კაპიტალური ტრანსფერტების მოცულობა 2008 წლისათვის, წინა

წელთან შედარებით შემცირდა. 2009 წლიდან კაპიტალურმა ტრანსფერტებმა კვლავ დაიწყო მატება.

2007-2011 წლებში წმინდა კაპიტალური ტრანსფერტები ყველაზე მეტი 2010 წელს აღინიშნა და ნაკადმა წლის განმავლობაში 206.4 მლნ აშშ დოლარი შეადგინა, ხოლო 2011 წელს კაპიტალური ტრანსფერტები, წინა წელთან შედარებით, 25.8 პროცენტით შემცირდა. ეს კარგად ჩანს ქვემოთ მოყვანილი დიაგრამიდან.

დიაგრამა 2.5 წმინდა კაპიტალური ტრანსფერტები, 2007-2011 წწ.



2011 წელს წმინდა კაპიტალური ტრანსფერტების შემცირება გამოწვეული იყო მიღებული ტრანსფერტების ანუ კრედიტის შემცირებით. გასული წლების მსგავსად უმნიშვნელო იყო გაცემული ტრანსფერტების მოცულობა, ანუ დებეტი. ქვემოთ

მოყვანილ ცხრილში მოცემულია უკანასკნელი ხუთი წლის განმავლობაში კაპიტალური ტრანსფერტების კრედიტულ-დებეტური ჩანაწერებისა და ბალანსის მდგომარეობა.

ცხრილი 2.3.11 კაპიტალური ტრანსფერტები

(მლნ აშშ დოლარი)

	2007	2008	2009	2010	2011	2011/2010 %
კაპიტალური ტრანსფერტი, წმინდა	127.9	112.3	182.5	206.4	153.2	-25.8
კრედიტი	128.3	112.4	182.6	206.6	153.5	-25.7
დებეტი	-0.3	-0.1	-0.1	-0.2	-0.2	43.3

ბოლო ხუთი წლის განმავლობაში კაპიტალური ტრანსფერტების ძირითადი ნაწილი მოდიოდა სამთავრობო სექტორზე. 2007 წელს ერთჯერადად იმატა სხვა სექტორების კაპიტალური ტრანსფერტების წილმა მთლიან კაპიტალურ ტრანსფერტებში, რაც გამოწვეული იყო მიგრანტებისა და სხვა ტრანსფერტების საგრძნობი მატებით, ამასთან, შემცირდა სამთავრობო სექტორის ტრანსფერტები. 2008 წელს აღნიშნული ტენდენცია შეიცვალა, სხვა სექტორების კაპიტალური ტრანსფერტები დაუბრუნდა ძველ დონეს. 2009 წლიდან კვლავ გაიზარდა ტრანსფერტები სამთავრობო სექტორ-

ში. 2011 წელს შემცირებული წმინდა კაპიტალური ტრანსფერტები 153.2 მლნ აშშ დოლარს შეადგენს. კაპიტალური ტრანსფერტების აღნიშნული კლება ლოგიკური შედეგია ამ კომპონენტის წინა ორი წლის მაღალი ზრდის მაჩვენებლის შემდეგ, რაც თავისმხრივ სამთავრობათაშორისო გრანტებით, ასევე სხვადასხვა სახის დახმარებებით იყო გამოწვეული. 2011 წელს, წინა წელთან შედარებით, 28.2 პროცენტით შემცირდა სამთავრობო სექტორში განხორციელებული კაპიტალური ტრანსფერტები და 136.1 მლნ აშშ დოლარი შეადგინა.

ცხრილი 2.3.12 კაპიტალური ტრანსფერტების განაწილება სექტორებს შორის, 2007-2011 წწ.

(მლნ აშშ დოლარი)

	2007	2008	2009	2010	2011	2011/2010 %
სამთავრობო სექტორი	67.9	86.8	170.0	189.4	136.1	71.8
კრედიტი	67.9	86.8	170.0	189.4	136.1	71.8
დებეტი	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
სხვა სექტორები	60.0	25.5	12.5	17.0	17.2	101.1
კრედიტი	60.3	25.6	12.7	17.2	17.4	101.5
დებეტი	-0.3	-0.1	-0.1	-0.2	-0.2	143.3
მიგრანტების ტრანსფერტი	44.5	7.7	5.3	8.2	7.4	91.0
კრედიტი	44.9	7.8	5.4	8.3	7.6	92.0
დებეტი	-0.3	-0.1	-0.1	-0.2	-0.2	143.3
ვალის პატიება	0.4	7.5	0.2	1.4	2.2	154.7
კრედიტი	0.4	7.5	0.2	1.4	2.2	154.7
დებეტი	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
სხვა	15.1	10.3	7.1	7.4	7.6	102.0
კრედიტი	15.1	10.3	7.1	7.4	7.6	102.0
დებეტი	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0


კაპიტალის ანგარიშის მეორე კომპონენტის „არასანარმოო არაფინანსური აქტივების ყიდვა-გაყიდვა“ მიხედვით, ოპერაციებს 2007-2011 წლებში ადგილი პრაქტიკულად არ ჰქონია.

2.3.2 პირდაპირი ინვესტიციები

საქართველოში შემოსულმა პირდაპირი უცხოური ინვესტიციების ჯამმა 2011 წლის ბოლოსათვის 9.3 მილიარდი აშშ დოლარი შეადგინა, რაც ერთ სულზე გაანგარიშებით 2,092 აშშ დოლარია.

ღიაბრაზა 2.6 საქართველოში შემოსული პირდაპირი უცხოური ინვესტიციები 2007-2011 წწ.

(მლნ აშშ დოლარი)



ცხრილი 2.3.3 პირდაპირი უცხოური ინვესტიციების განაწილება


(მლნ აშშ დოლარი)

	2007	2008	2009	2010	2011
პირდაპირი ინვესტიციები საზღვარგარეთ	-76.3	-146.6	18.5	-135.1	-146.6
პირდაპირი ინვესტიციები საქართველოში	1750.2	1564.3	658.9	813.8	1117.4
სააქციო კაპიტალი	861.0	1101.1	617.0	470.8	489.9
რეინვესტირებული შემოსავლები	49.0	73.5	-51.8	227.2	350.3
სხვა კაპიტალი	840.3	389.7	93.7	115.9	277.2

პირდაპირი უცხოური ინვესტიციების შემოდიენბამ საქართველოში, 2011 წლის განმავლობაში, 1.1 მილიარდი აშშ დოლარი შეადგინა, რაც 37.3 პროცენტით მეტია წინა წლის შესაბამის მაჩვენებელზე.

აქედან, სააქციო კაპიტალის წილად მოდიოდა 43.8 პროცენტი, რეინვესტირებული შემოსავლების - 31.3 პროცენტი, ხოლო სხვა კაპიტალის - 24.8 პროცენტი.

დიაგრამა 2.7 2011 წელს შემოსული პირდაპირი უცხოური ინვესტიციები საქმიანობის სახეების მიხედვით



2011 წელს შემოსული პირდაპირი უცხოური ინვესტიციების 14.4 პროცენტი მრეწველობის სფეროსკენ იყო მიმართული. სოფლის მეურნეობაში ჩადებული ინვესტიციების წილი 1.3 პროცენტს შეადგენდა. დანარჩენი ინვესტიციები განხორციელდა მომსახურების სფეროში და შემდეგნაირად განაწილდა: გასულ წელთან შედარებით თითქმის ათჯერ გაიზარდა ენერგო სექტორში ჩადებული უცხოური ინვესტიციები და მთლიანი ინვესტიციების 18.3 პროცენტი შეადგინა. პირდაპირი უცხო-

ური ინვესტიციების 15.0 პროცენტი მოდიოდა საფინანსო სექტორზე; ინვესტიციების 11.3 პროცენტი ჩადო ტრანსპორტსა და კომუნიკაციებში; 8,0 პროცენტი - უძრავ ქონებაში, ხოლო დანარჩენი ინვესტიციები სხვა სახის მომსახურებებში.

უმსხვილესი ინვესტორი ქვეყნები 2011 წელს იყვნენ: ნიდერლანდები, აზერბაიჯანი, დანია, თურქეთი, რუსეთი, გაერთიანებული სამეფო, ჩეხეთი, ლუქსემბურგი, ვირჯინიის კუნძულები, ავსტრია.

2.3.3 პორტფელის ინვესტიციები

ცხრილი 2.3.4 პორტფელის ინვესტიციები

(მლნ აშშ დოლარი)

	2007	2008	2009	2010	2011
აქტივები	-12.7	0.7	-1.1	-0.6	0.0
აქციები	-5.1	0.0	-1.1	-0.6	0.1
ბანკები	-5.1	0.0	0.0	0.0	0.1
სხვა სექტორები	0.0	0.0	-1.1	-0.6	0.0
ობლიგაციები	-5.2	-1.7	0.0	0.0	-0.1
სამთავრობო სექტორი	0.0	-6.8	0.0	0.0	0.0
ბანკები	-5.1	5.1	0.0	0.0	0.0
სხვა სექტორები	-0.1	0.0	0.0	0.0	-0.1
ფულადი ბაზრის ინსტრუმენტები	-2.4	2.4	0.0	0.0	0.0
ბანკები	-2.4	2.4	0.0	0.0	0.0
ვალდებულებები	33.7	622.5	11.7	251.1	133.2
აქციები	33.7	114.7	11.7	-22.0	-7.2
ბანკები	33.7	101.4	8.2	-22.3	-7.3
სხვა სექტორები	0.1	13.3	3.5	0.3	0.1
ობლიგაციები	0.0	507.8	0.0	260.8	87.7
სამთავრობო სექტორი	0.0	507.8	0.0	0.0	39.0
ბანკები	0.0	0.0	0.0	0.0	48.7
სხვა სექტორები	0.0	0.0	0.0	260.8	0.0
ფულადი ბაზრის ინსტრუმენტები	0.0	0.0	0.0	12.3	52.7
სამთავრობო სექტორი	0.0	0.0	0.0	0.0	4.6
ბანკები	0.0	0.0	0.0	12.2	47.7
სხვა სექტორები	0.0	0.0	0.0	0.1	0.3

2011 წელს პორტფელის ინვესტიციების აქტივებში მნიშვნელოვანი ცვლილებები არ მომხდარა. რაც შეეხება ვალდებულებებს, საბანკო სექტორის როგორც მოკლევადიანი, ისე გრძელვადიანი ვალდებულებების ზრდა გამომწვეული იყო ერთ-ერთი კომერციული ბანკის მიერ გამოშვებული ფასიანი ქაღალდებით. სამთავრობო სექტორის გრძელვადიანი ვალდებულებების ზრდა განაპირობა ევროზონდებმა, ხოლო მოკლევადიანი ვალდებულებები გაიზარდა სახაზინო ვალდებულებების ხარჯზე.

2.3.4 ფინანსური წარმოებულები

ფინანსური წარმოებულები, როგორც ფინანსური ანგარიშის დამოუკიდებელი კომპონენტი, არც თუ ისე დიდი ხანია არსებობს. ადრე ის შედიოდა პორტფელის ინვესტიციებში. ფინანსური ბაზრების განვითარების შედეგად, ფინანსური წარმოებულების


როლი ფინანსურ ოპერაციებში მნიშვნელოვნად გაიზარდა და ამიტომ, მიზანშეწონილად ჩაითვალა მათი დამოუკიდებლად ჩვენება მთელ რიგ სტატისტიკურ ანგარიშებში. ფინანსური ბაზარი საქართველოში ჯერ მხოლოდ ჩამოყალიბების სტადიაშია, ამიტომ ისეთი რთული ფინანსური ინსტრუმენტებით, როგორცაა ფინანსური წარმოებულები, ოპერაციები უმნიშვნელოა და ამ ეტაპზე მხოლოდ რამდენიმე ბანკის მიერ ხორციელდება. მაგრამ შეიმჩნევა აღნიშნული ბაზრის განვითარების ტენდენციები. საწყის ეტაპზე გამოიყენებოდა მხოლოდ ერთი სახის ფინანსური წარმოებულები - სავალუტო სვოპი. 2008 წლის მეოთხე კვარტალიდან გამოჩნდა ფინანსური წარმოებულების ახალი ინსტრუმენტები, როგორცაა ფიუჩერსები ოქროსა და ნავთობზე. 2011 წელს ფინანსური წარმოებულების ანგარიშის სალდომ 5.1 მლნ აშშ დოლარი შეადგინა.

2.3.5 სხვა ინვესტიციები


სხვა ინვესტიციების ანგარიშზე 2011 წელს დაფიქსირდა წმინდა უცხოური ინვესტიციების შემოდინება 1.1 მილიარდი აშშ დოლარის ოდენობით. აქედან, რეზიდენტების უცხოური აქტივები შემცირდა 199.3 მლნ აშშ დოლარით, ხოლო უცხო-

ური ვალდებულებები გაიზარდა 917.7 მლნ აშშ დოლარით. ნალდი ფული და დეპოზიტების აქტივები შემცირდა 223.7 მლნ აშშ დოლარით, სესხები - 24.4 მლნ აშშ დოლარით, ხოლო სავაჭრო კრედიტები გაიზარდა 43.0 მლნ აშშ დოლარით.

ღიაბრამა 2.8 სხვა ინვესტიციები - აქტივები (მლნ აშშ დოლარი)



ღიაბრამა 2.9 სხვა ინვესტიციები - ვალდებულებები (მლნ აშშ დოლარი)



ვალდეულებების მხრივ, 2011 წელს ეროვნული ბანკის სასესხო ვალდეულებები შემცირდა 59.5 მლნ აშშ დოლარით; სამთავრობო სექტორის სესხი კი გაიზარდა 275.0 მლნ აშშ დოლარით, რაც თითქმის მთლიანად გრძელვადიანი სესხების ზრდის

ხარჯზე მოხდა. კერძო სექტორის ვალის ცვლილება 489.4 მილიონი აშშ დოლარი შეადგინა, აქედან 57.7 პროცენტი გრძელვადიანი ვალი იყო. ვალდეულებები არარეზიდენტების დეპოზიტების სახით 190.8 მილიონი აშშ დოლარით გაიზარდა.

ცხრილი 2.3.5 გრძელვადიანი საგარეო ვალი

(მლნ აშშ დოლარი)

	2007	2008	2009	2010	2011
ეროვნული ბანკი	-53.4	219.7	212.7	-21.2	-59.5
ფონდის კრედიტების გამოყენება და სესხები	3.1	221.6	212.5	-21.5	-59.2
სესხის აღება	42.6	256.8	240.1	0.0	0.0
გადახდა	-39.5	-35.3	-27.5	-21.5	-59.2
სხვა გრძელვადიანი	-56.6	-2.7	0.0	0.0	0.0
სესხის აღება	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
გადახდა	-56.6	-2.7	0.0	0.0	0.0
სამთავრობო სექტორი	111.2	191.9	459.3	633.8	275.0
ფონდის კრედიტების გამოყენება და სესხები	0.0	0.0	100.1	297.2	0.0
სესხის აღება	0.0	0.0	100.1	297.2	0.0
გადახდა	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
სხვა გრძელვადიანი	111.0	191.3	358.7	335.0	274.5
სესხის აღება	156.0	227.0	428.1	402.9	340.5
გადახდა	-45.0	-35.6	-69.4	-67.9	-66.0
ბანკები	565.7	383.0	-164.2	-1.7	28.4
სესხის აღება	721.0	534.8	326.8	173.3	296.9
გადახდა	-155.3	-151.8	-491.0	-175.0	-268.6
სხვა სექტორები	97.5	55.8	147.0	-8.9	254.0
სესხის აღება	139.0	225.1	251.1	238.8	450.5
გადახდა	-41.5	-169.3	-104.1	-247.6	-196.4

2011 წლის განმავლობაში საქართველოს გრძელვადიანი საგარეო ვალი 497.9 მლნ აშშ დოლარით გაიზარდა. შემცირდა მხოლოდ ეროვნული ბანკის ვალი (59.5 მლნ აშშ დოლარით), დანარჩენი სექ-

ტორების გრძელვადიანი ვალი გაიზარდა. სამთავრობო სექტორის ვალი გაიზარდა 275.0 მლნ აშშ დოლარით, ხოლო კერძო სექტორის ვალი - 282.4 მლნ აშშ დოლარით.

ცხრილი 2.3.6 სამთავრობო სექტორის ვადაგადაცილებული დავალიანება, 2007-2011 წწ.

(მლნ აშშ დოლარი)


	2007	2008	2009	2010	2011
მთლიანი ვადაგადაცილებული დავალიანება	-34.5	-3.9	-3.0	-10.8	0.3
დაგროვილი დავალიანება, ძირითადი ვალი	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
დაგროვილი დავალიანება, პროცენტი	2.0	0.5	0.4	0.4	0.4
ვალის გადახდა, ძირითადი ვალი	-36.4	-4.4	0.0	0.0	0.0
ვალის გადახდა, პროცენტი	0.0	0.0	-3.4	-11.3	-0.1
ვალის გადავადება, ძირითადი ვალი	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
ვალის გადავადება, პროცენტი	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
ვალის ანულირება, ძირითადი ვალი	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
ვალის ანულირება, პროცენტი	0.0	0.0	0.0	0.0	0.0

2.3.6 საერთაშორისო რეზერვები

სამთავრობო სექტორის ვადაგადაცილებული დავალიანება 2011 წელს უმნიშვნელოდ, 0.3 მლნ აშშ დოლარით გაიზარდა, თურქმენეთს ვალზე დაგროვილი პროცენტების ხარჯზე.

2011 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ქვეყნის ოფიციალურმა სარეზერვო აქტივებმა 2.8 მლრდ აშშ დოლარი შეადგინა, რაც 2010 წლის ანალოგიურ მაჩვენებელზე 554.3 მლნ აშშ დოლარით მეტია. სულ წლის დასაწყისიდან საერთაშორისო რეზერვების მოცულობა 24.5 პროცენტით გაიზარდა.

ღიაბრამა 2.10 ოფიციალური რეზერვები



საქართველოს ეროვნული ბანკის საერთაშორისო რეზერვების მოცულობის ცვლილებაზე 2011 წლის განმავლობაში ტრადიციულად რამდენიმე ძირითადი ფაქტორი მოქმედებდა: საქართველოს ეროვნული ბანკის სავალუტო აუქციონები, მთავ-

რობის სავალუტო შემოსულობები (საერთაშორისო ორგანიზაციებიდან მიღებული კრედიტები და გრანტები) და მთავრობის სავალუტო ხარჯები. წლის განმავლობაში სავალუტო აუქციონებით ეროვნული ბანკის წმინდა შესყიდვებმა 300 მლნ აშშ დოლარი

შეადგინა. ზრდა ასევე განაპირობა საერთაშორისო საფინანსო ორგანიზაციებიდან და დონორი სახელმწიფოებიდან მიღებულმა შეღავათიანმა ფინანსურმა რესურსმა: მსოფლიო ბანკის სესხი 153 მლნ აშშ დოლარი, გრანტი - 4 მლნ აშშ დოლარი, ევროგაერთიანების გრანტები - 59.9 მლნ აშშ დოლარი, ევროპის საინვესტიციო ბანკის სესხი - 9.5 მლნ აშშ დოლარი, აზიის განვითარების ბანკის სესხი - 26.6

მლნ აშშ დოლარი.

საერთაშორისო რეზერვები 2011 წელს საქონლისა და მომსახურების 4.3 თვის იმპორტს უზრუნველყოფს. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ საერთაშორისო სავალუტო ფონდი მდგრადობის კრიტერიუმად 3 - 4 თვის იმპორტის ოდენობის საერთაშორისო რეზერვებს განიხილავს, რასაც საქართველოს მაჩვენებელი სრულად აკმაყოფილებს.

3. საერთაშორისო საინვესტიციო მდგომარეობა

წინამდებარე კრებულში გთავაზობთ 2011 წლის საქართველოს საერთაშორისო საინვესტიციო მდგომარეობის ამსახველ სრულ სტატისტიკურ მონაცემებს. ცხრილში 3.1 მოცემულია მონაცემების მოკლე ვარიანტი, სრული ვარიანტი შეგიძლიათ იხილოთ დანართში. საქართველოს საერთაშორისო საინვესტიციო მდგომარეობა უარყოფითია და 2011

წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით -13.6 მლრდ აშშ დოლარს შეადგენს. 2011 წელს საერთაშორისო საინვესტიციო მდგომარეობა 16.0 პროცენტით ანუ 1.9 მლრდ აშშ დოლარით გაუარესდა. ოპერაციებით გამოწვეულმა ცვლილებებმა -1.7 მლრდ აშშ დოლარი შეადგინა, ხოლო საკუროსო, ფასის და სხვა ცვლილებებმა ერთად 223.5 მლნ აშშ დოლარი.

დიაგრამა 3.1. საქართველოს საერთაშორისო საინვესტიციო მდგომარეობა 2007-2011 წწ. ბოლოს



2011 წლის ბოლოს მთლიანი საგარეო აქტივები 5.0 მლრდ აშშ დოლარი იყო. წლის განმავლობაში იგი 456.3 მლნ აშშ დოლარით (10.1 პროცენტით) არის გაზრდილი წინა წლის მაჩვენებელთან შედარებით. საგარეო აქტივების ძირითად ნაწილს (2.8 მლრდ აშშ დოლარი) ეროვნული ბანკის საერთაშორისო რეზერვები შეადგენს. ასევე, მნიშვნელოვანი წილი აქვს სხვა ინვესტიციებს - 1.3 მლრდ აშშ დოლარი, აქ ძირითადად წარმოდგენილია ნაღდი ფული და დეპოზიტები, სავაჭრო კრედიტები და სესხები. ეროვნული ბანკის სარეზერვო აქტივებს

საქართველოს მთლიანი უცხოური აქტივების 56.6 პროცენტი, ხოლო სხვა ინვესტიციებს - 25.4 პროცენტი უჭირავთ. უცხოური აქტივების მატება გამოწვეული იყო სარეზერვო აქტივების მატებით, რამაც წლის განმავლობაში 554.3 მლნ აშშ დოლარი შეადგინა. სხვა ინვესტიციების ნაწილში კლება 197.1 მლნ აშშ დოლარი იყო.

სარეზერვო აქტივების ზრდაზე თავის მხრივ გავლენა იქონია 2011 წლისთვის სახელმწიფო სექტორში აღებულმა სესხებმა.

ცხრილი 3.1 საქართველოს საერთაშორისო საინვესტიციო მდგომარეობა, 2007-2011 წწ.

(მლნ აშშ დოლარი)

	12/31/2007	12/31/2008	12/31/2009	12/31/2010	12/31/2011
საერთაშორისო საინვესტიციო პოზიცია, წმინდა	-7,004.7	-9,503.9	-10,715.6	-11,699.0	-13,576.3
აქტივები	2,620.8	3,193.0	3,711.9	4,525.0	4,981.4
პირდაპირი ინვესტიციები საზღვარგარეთ	418.0	602.2	581.2	794.4	890.9
პორტფელის ინვესტიციები	7.7	0.2	1.4	2.0	1.9
ფინანსური წარმოებულები	0.1	0.2	0.7	1.5	4.2
სხვა ინვესტიციები	833.8	1,110.2	1,018.1	1,463.2	1,266.1
სავაჭრო კრედიტები	177.5	164.6	207.4	288.8	320.0
სესხები	153.3	89.9	76.9	118.1	94.6
ნაღდი ფული და დეპოზიტები	497.4	851.1	728.7	1,046.6	835.9
სხვა აქტივები	5.6	4.6	5.0	9.8	15.6
სარეზერვო აქტივები	1,361.2	1,480.2	2,110.4	2,263.9	2,818.3
ვალდებულებები	9,625.6	12,696.9	14,427.5	16,224.0	18,557.7
პირდაპირი ინვესტიციები საქართველოში	5,356.1	6,762.8	7,442.9	8,326.7	9,604.3
პორტფელის ინვესტიციები	278.0	715.1	898.4	1,152.5	1,259.3
ფინანსური წარმოებულები	0.0	0.1	0.3	0.2	0.4
სხვა ინვესტიციები	3,991.5	5,219.0	6,085.9	6,744.6	7,693.7
სავაჭრო კრედიტები	158.4	324.1	400.4	435.4	472.8
სესხები	3,497.7	4,593.1	5,090.9	5,642.4	6,324.4
ნაღდი ფული და დეპოზიტები	233.1	209.0	249.6	327.2	510.5
სხვა ვალდებულებები	102.3	92.7	345.0	339.7	386.0

2011 წლის განმავლობაში მთლიანი საგარეო ვალდებულებები 14.4 პროცენტით (2.3 მლრდ აშშ დოლარით) გაიზარდა და წლის ბოლოს 18.6 მლრდ აშშ დოლარი შეადგინა. 2011 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით საგარეო ვალდებულებების ნახევარზე მეტი (51.8 პროცენტი) პირდაპირ ინვესტიციებზე მოდის - 9.6 მლნ აშშ დოლარი. პორტფელის ინვესტიციების წილი ქვეყნის საგარეო ვალდებულებებში 6.8 პროცენტია და 1.3 მლრდ აშშ დოლარს შეადგენს. დიდი წილი აქვს სხვა ინვესტიციებს - 41.5 პროცენტი (7.7 მლრდ აშშ დოლარი), რომლის უდიდეს ნაწილს არარეზიდენტებისგან აღებული სესხები წარმოადგენს.

ვალდებულებების ზრდა, ძირითადად, ოპერაციების ხარჯზე მოხდა (2.2 მლრდ აშშ დოლარი), რომლის 51.7 პროცენტი პირდაპირ ინვესტიციებზე მოდის, რაც მისასაღმებელი ფაქტია. ასევე, მნიშვნელოვანი წილი აქვს საზღვარგარეთიდან აღებულ

სესხებს (ოპერაციული ზრდის 32.6 პროცენტი). პორტფელური ინვესტიციების ხარჯზე ოპერაციული ზრდის 6.2 პროცენტი მოდის. საკურსო ცვლილებით გამოწვეული საგარეო ვალდებულებების ზრდა 2011 წელს 69.5 მლნ აშშ დოლარი იყო. პირდაპირი ინვესტიციებისა და პორტფელის ინვესტიციების საკურსო ცვლილებებმა, შესაბამისად, 65.5 და 15.3 მლნ აშშ დოლარი შეადგინა, სხვა ინვესტიციების საკურსო ცვლილება კი უარყოფითი იყო (-18.4 მლნ აშშ დოლარი). სხვა ცვლილებებმა საგარეო ვალდებულებების ზრდა გამოიწვია 147.0 მლნ აშშ დოლარით. ვალდებულებების ფასის ცვლილებამ -44.1 მლნ აშშ დოლარი შეადგინა, რაც გამოწვეული იყო საქართველოში გამოშვებული ობლიგაციების ფასების შემცირებით. ყოველივე ამის შედეგად, საქართველოს საერთაშორისო საინვესტიციო მდგომარეობამ 2011 წლის 31 დეკემბრისათვის -13.6 მლრდ აშშ დოლარი შეადგინა.


4. საბარეო ვალი

მთლიანი საგარეო ვალის სტატისტიკა ჰარმონიზებული საგადასახდლო ბალანსის სტატისტიკასთან. აქაც გამოიყოფა ეკონომიკის ოთხი ძირითადი სექტორი: სამთავრობო, ფულად-საკრედიტო ორგანოების, საბანკო და სხვა სექტორები. გარდა ამისა, ცალკე აისახება კომპანიათაშორისი სესხები.

სხვა სექტორები იყოფა სამ ქვესექტორად. ესენია: არასაბანკო საფინანსო კორპორაციები, არასაფინანსო კორპორაციები და შინამეურნეობები და მათი მომსახურე არაკომერციული ორგანიზაციები. ამ უკანასკნელი ქვესექტორის დაკვირვება მეტად რთულია და დღეისათვის არ არის მოცული.

დიაგრამა 4.1 საგარეო ვალი ეკონომიკის სექტორების მიხედვით, 2011 წ.

(მლნ აშშ დოლარი)



2011 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით საქართველოს მთლიანი საგარეო ვალი 11.5 მლრდ აშშ დოლარი შეადგინა. აქედან სამთავრობო სექტორის ვალი შეადგენდა 3.7 მლრდ აშშ დოლარს, ეროვნული ბანკის ვალი - 815.0 მლნ აშშ დოლარს, საბანკო სექტორის ვალი - 2.1 მლრდ აშშ დოლარს, სხვა სექტორების ვალი - 2.1 მლრდ აშშ დოლარს და კომპანიათაშორისი ვალი - 2.8 მლრდ აშშ დოლარს.

საქართველოს მთლიანი საგარეო ვალის მნიშვნელოვან ნაწილს სამთავრობო სექტორის მიერ აღებული საგარეო სესხები წარმოადგენს. მათ მთლიანი საგარეო ვალის 32.2 პროცენტი უჭირავთ. მთლიანი საგარეო ვალის 24.3 პროცენტი პირდაპირი ინვესტიციების მიერ თავიანთი შვილობილი კომპანიებისათვის მიცემულ სესხები, ანუ კომპა-

ნიათაშორისი სესხებია. სხვა სექტორების საგარეო ვალი წლის ბოლოსთვის მთლიანი საგარეო ვალის 17.9 პროცენტს შეადგენდა, ხოლო საბანკო სექტორის საგარეო ვალი 18.5 პროცენტი იყო. სხვა სექტორების საგარეო ვალდებულებების ძირითად ნაწილს, 95.2 პროცენტს, არასაფინანსო კორპორაციების სესხები შეადგენს. ეს მაჩვენებელი მთლიანი საგარეო ვალის 17.0 პროცენტია და 2.0 მლრდ აშშ დოლარს აღწევს. წლის განმავლობაში არასაფინანსო კორპორაციების სესხების 21.4 პროცენტთანაა ზრდამ განაპირობა სხვა სექტორების საგარეო ვალის ზემოაღნიშნული ცვლილება. საგარეო ვალის აღნიშნულ სესხებთან შედარებით კვლავ მცირეა ეროვნული ბანკის ვალდებულებები, რომელიც მთლიანი საგარეო ვალის 7.1 პროცენტს შეადგენს.

ზოგად წარმოდგენას, საქართველოს მთლიანი ფორმით არის წარმოდგენილი საგარეო ვალის გა-
საგარეო ვალის შესახებ 2011 წლის ბოლოსათვის, ნაწილება ეკონომიკის ძირითადი სექტორებისა და
გვამდევს ცხრილი 4.1. ცხრილში შემოკლებული ვადიანობის მიხედვით.

ცხრილი 4.1 საქართველოს მთლიანი საგარეო ვალი 2007-2011 წლების ბოლოს

(მლნ აშშ დოლარი)

	12/31/2007	12/31/2008	12/31/2009	12/31/2010	12/31/2011	2011 სტრუქტ. %
სამთავრობო სექტორი	1,584.8	2,087.6	2,743.7	3,342.7	3,691.5	32.2
მოკლევადიანი	79.1	75.8	73.3	64.1	69.5	0.6
გრძელვადიანი	1,505.7	2,011.8	2,670.4	3,278.6	3,622.0	31.6
ეროვნული ბანკი	254.2	461.0	913.9	876.4	815.0	7.1
მოკლევადიანი	0.0	0.8	1.0	1.3	1.2	0.0
გრძელვადიანი	254.2	460.2	912.9	875.1	813.8	7.1
ბანკები	1,295.0	1,874.8	1,498.7	1,597.6	2,121.9	18.5
მოკლევადიანი	400.0	565.6	353.7	455.1	902.0	7.9
გრძელვადიანი	895.1	1,309.3	1,145.0	1,142.5	1,219.9	10.6
სხვა სექტორები	857.4	1,128.1	1,439.1	1,744.9	2,054.4	17.9
მოკლევადიანი	224.7	390.2	517.7	574.0	649.4	5.7
გრძელვადიანი	632.7	737.9	921.3	1,170.9	1,405.0	12.2
